ალმა მატერ

უნივერსიტეტი

85

28 მარტი, ოთხშაბათი, 2012 წ. №3

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს ახალი დეკანი ჰყავს

გვ. 2

ორიენტაცია ადმინისტრაციული რეგისტრაციის პროცესის თანმდევი სირთულის დასაძლევად

გვ. 3

გიორგი ტეფნაძე - ესტატე ხმალაძის სახელობის 2012 წლის სტიპენდიატი

გვ. 4

ელენე ხარაბაძე:

დეკანის მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმა მხოლოდ ჩემი პრინციპიდან გამომდინარე მოხდა. მიმაჩნია, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, რომელიც რიცხოვნობით, შემოსავლებით და პერსპექტივითაც ყველაზე დიდი ფაკულტეტია უნივერსიტეტში, ღირსია, რომ არჩეული დეკანი ჰყავდეს.

გვ. 13

რეაქცია

უნივერსიტეტი ძალადობას გმობს

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის გამოხმაურებას და პოზიციას 14 მარტს უნივერსიტეტის III კორპუსში სტუდენტებს შორის მომხდარ ინციდენტზე საუნივერსიტეტო საზოგადოება გულისყურით ელოდა. უდავოა, რომ სამართლიანობის დადგენის პოზიციაზე მდგომი რექტორისა და ადმინისტრაციის ძალისხმევით მოხერხდა სწორედ სიტუაციის განმუხტვა და სტუდენტებისთვის პერმანენტული შეხვედრების მოწყობის ინიციატივის შეთავაზებამაც ნაყოფი უკვე გამოიღო.

მე-3 გვერდზე

25 000 სტუდენტი პროგრამა „SUMMER JOB“ — ზე უკვე დარეგისტრირდა

28 მარტს დიმიტრი შაშკინი სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამა „Summer Job”-ზე დარეგისტრირებულ სტუდენტებს შეხვდა და პროგრამის მიზნებსა და მნიშვნელობაზე ესაუბრა. პროექტი საქართველოს პრეზიდენტის მიერ არის ინიცირებული და წელს პირველად ხორციელდება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოყოფილ ვაკანსიებზე 25 000 ათასი სტუდენტი უკვე დარეგისტრირდა. შეთავაზებული 70-მდე სამუშაო სახეობებიდან მათ სასურველი ერთი ვაკანსია აირჩიეს. სტუდენტთა საზაფხულო დასაქმების პროგრამა „Summer Job“ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ზაფხულის არდადეგების პერიოდში 2012 წლის 20 ივლისს ამოქმედდება და 20 აგვისტომდე გასტანს. სტუდენტების ხელფასი 500 ლარი იქნება.

პროექტი „Summer Job“ გამიზნულია იმისათვის, რათა სტუდენტმა კვალიფიკაციის ამაღლება და გამოცდილების მიღება იმ სფეროში შეძლოს, სადაც მომავალში სურს დასაქმდეს. ასევე, გამომუშავებული თანხა მას საშუალებას აძლევს საკუთარი სწავლა დააფინანსოს ან გამოიყენოს შემეცნებისთვის, მოგზაურობისთვის, დასვენებისათვის და ა.შ. ამგვარი პრაქტიკა დანერგილია და წარმატებით ხორციელდება დასავლეთის ქვეყნებში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტში სახელმწიფო უწყებები და კერძო სექტორია ჩართული.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროექტში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა დიდმა ნაწილმა მიზეზთა გამო „Summer job”-ზე დარეგისტრირება ვერ მოასწრო და ვერც სასურველი სამუშაო ადგილის შერჩევა შეძლო. სტუდენტთა აქტიურობა იმაზე მეტყველებს, რომ ისინი მზად არიან საზაფხულო არდადეგები მუშაობის რეჟიმში გაატარონ, ოღონდ კი დასაქმდნენ. ზოგიერთი სტუდენტი იმედოვნებს, რომ დასასაქმებელ სტუდენტთა შერჩევითობის პრინციპი, თუკი ეს რეალურად არსებობს, მომავალში აღმოიფხვრება.

სტუდენტთა დასაქმების შანსი ჰიპერმარკეტ „კარფურში“

თსუ-ის სტუდენტთა დასაქმების პრობლემაზე მუშაობა და ამ მხრივ სტუდენტებისთვის რეალური პერსპექტივების დასახვა უნივერსიტეტის ერთერთი მთავარი პრიორიტეტია. სწორედ ამ მიმართულებით გასატარებელ ღონისძიებებს გეგმავს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. წლის ბოლოსთვის თანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდება 300-მდე ორგანიზაციასთან, რის საფუძველზეც ფაკულტეტის სტუდენტთა დიდი ნაწილი დასაქმდება.

მე-2 გვერდზე

ქრონიკა

გვ. 8-9

განათლებისა და მეცნიერებისთვის ხელშეწყობა — სტუდენტური თვითმმართველობის ახალი პრიორიტეტი გვ. 5

ღირებული შენაძენი თსუ-სთვის გვ. 6

თსუ-ის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის საუკუნის პროექტი გვ. 7

ვაჟა ოკუჯავა თავის კაბინეტში „დაბრუნდა“ გვ. 7

ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იხსნება გვ. 12

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს ახალი დეკანი ჰყავს

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს ახალი დეკანი ჰყავს — აკაკი ხელაძე — ენერგიული, მოტივირებული პიროვნება, რომელიც თსუ-ში მოღვაწეობას უდიდეს პასუხისმგებლობად თვლის და მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტი რეგიონის მასშტაბით ერთერთი ყველაზე კონკურენტუნარიანი გახდება.

აკაკი ხელაძემ თბილისის 55-ე საშუალო სკოლა დაამთავრა. ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ჰიდროტექნიკის ფაკულტეტზე. 1999 წელს მან სწავლა ჯერ კავკასიის ბიზნეს სკოლაში განაგრძო, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აშშ, ატლანტა) ფინანსების მიმართულებით, რასაც მოჰყვა ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ატლანტა, აშშ) და კავკასიის ბიზნესის სკოლის (თბილისი, საქართველო) ერთობლივი სადოქტორო პროგრამა.

აკაკი ხელაძემ მუშაობდა ჯერ ენგურის კაშხლის რეაბილიტაციის პროექტზე, შემდეგ „AES თელასში“. ასევე მუშაობდა საინვესტიციო და საპარტნიორო ფონდში საინვესტიციო ოფიცრის თანამდებობაზე. იყო კავკასიის ბიზნეს სკოლის ერთერთი კათედრის ხელმძღვანელი, შემდეგ კი მაგისტრატურა-დოქტორანტურის დეპარტამენტის დირექტორი. იგი კითხულობდა ლექციებს კავკასიის ბიზნეს სკოლაში, ხოლო საფრანგეთის გრენობლის უმაღლესი მართვის სკოლაში დღესაც მიჰყავს ლექციების კურსი მენეჯმენტის და პროექტების მართვის მიმართულებით. აქვს ტრენინგების და საკონსულტაციო მოღვაწეობის უზარმაზარი გამოცდილება. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი. იგი 33 წლისაა.

მასთან საუბარში გამოიკვეთა, რომ იგი იმედებს გუნდური მუშაობის პრინციპზე ამყარებს, არ აპირებს საკადრო ცვლილებების გატარებას და მიაჩნია, რომ მაქსიმალურადაა გამოსაყენებელი ის პოტენციალი და ადამიანური რესურსი, რაც ფაკულტეტზე დახვდა.

თამარ დადიანი

— ბატონო აკაკი, თითქმის ერთი თვეა, რაც უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანად დაინიშნეთ. ამდენად, უკვე შეიძლება გკითხოთ, რა მოლოდინი გქონდათ და რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ფაკულტეტის გაცნობის შემდეგ?

— მინდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ საინტერესო შემოთავაზება მივიღე ბ-ნი ალექსანდრე კვიტაშვილისგან. საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწეობის 9-წლიანი გამოცდილება მაქვს და ვიცი, რომ ასეთი ტრადიციული, მასშტაბური და სისტემური უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანობა საკმაოდ საპასუხისმგებლოა. იგრძნობა, რომ ფაკულტეტს უზარმაზარი რესურსი და პოტენციალი გააჩნია, რომელსაც თუ სწორედ გამოიყენებ, საუკეთესო შედეგს მიიღებ. მომეწონა გუნდის ხედვა, რომელიც სწავლების ხარისხის ზრდასა და ინოვაციების დანერგვაზეა ორიენტირებული. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტთა კონტინგენტი საკმაოდ დიდი და მასშტაბურია. ასე რომ, მოლოდინმა აქაც გამიმართლა.

— დეკანის მოვალეობის შესრულების დროს რა იქნება თქვენი მუშაობის ძირითადი პრინციპი?

— ძირითადი პრინციპი — გუნდური მუშაობა იქნება. აქ იგულისხმება აკადემიური, ადმინისტრაციული და სტუდენტური კონტინგენტის ერთობლივი, შეთანხმებული მუშაობა. ყველა მიღებული გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, ერთობლივი მუშაობის შედეგი იქნება, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მათგანი იღებდეს მონაწილეობას სწორი და პრინციპული გადაწყვეტილების მიღებაში. მაგალითად, ფაკულტეტის დებულებაზე მუშაობა ასეთი საქმიანობის კარგი მაგალითია. ჩვენ საჯარო განხილვის რეჟიმში დიდი დრო დავუთმეთ პრიორიტეტების განსაზღვრას, პროცედურების ფორმირებას და სხვადასხვა საკითხებს. გუნდურობის პრინციპი ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას იქნება შენარჩუნებული.

ასევე მნიშვნელოვანია გააქტიურდეს საერთაშორისო მიმართულებით მუშაობა, რომელიც გულისხმობს ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებსა და პროექტებს, უცხოელი პროფესორების ინტენსიურ სალექციო კურსებს, ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების საერთაშორისო კონფერენციებსა თუ ტრენინგებში აქტიურ მონაწილეობას.

მიმაჩნია, რომ უნდა გავზარდოთ პარტნიორი უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების რიცხვი და ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯების გადადგმას ვაპირებთ.

ჩემი მუდმივი საზრუნავი იქნება სასწავლო პროგრამების განახლება და სრულყოფა, რათა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ერთერთი ყველაზე კონკურენტუნარიანი ფაკულტეტი გახდეს.

— როგორ გესახებათ ფაკულტეტის ხვალინდელი დღე?

— საბედნიეროდ, ამ ფაკულტეტზე კარგად მომზადებული აბიტურიენტები აბარებენ, რაც მიღებულ სახელმწიფო გრანტებშიც გამოისახება. წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი სტუდენტთა სტაჟირებისა და დასაქმების კუთხით გააქტიურება იქნება.

აკაკი ხელაძე

ჩვენ ამ მიმართულებითაც აქტიურად ვიმუშავებთ, რაშიც ჩემი პირადი კავშირებიც დამეხმარება. აჟამად, თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით ათეულობით კომერციულ ორგანიზაციას თუ სახელმწიფო სტრუქტურას ვუკავშირდებით.

სტუდენტმა აკადემიური ხარისხი რომ მიიღოს, სავალდებულო სასწავლო პრაქტიკაც უნდა გაიაროს. ამიტომ, რაც შეიძლება ბევრი მათგანი უნდა მივავლინოთ სხვადასხვა ორგანიზაციაში. მომავალი სასწავლო წლისათვის ათეულობით ორგანიზაციასთან გაფორმდება თანამშრომლობის მემორანდუმები, რის საფუძველზეც სტუდენტს საშუალება ექნება თეორიული ცოდნა პრაქტიკული გამოცდილებით გააღრმავოს.

— როგორც ვხედავთ, თქვენი მუშაობა ძირითადად სტუდენტებსა და სასწავლო პროგრამების სრულყოფაზეა ორიენტირებული. აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მხრივ თუ აპირებთ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას?

— აკადემიურ პერსონალს ადმინისტრაციის მხრიდან მაქსიმალური ხელშეწყობა ექნება საერთაშორისო კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობის თვალსაზრისით. შემოვიღებთ წახალისების სისტემასაც — დაჯილდოებული და წახალისებული იქნება ყველა, ვინც დადებს კარგ შედეგებს, ვგულისხმობ სასწავლო სამეცნიერო შედეგების გაუმჯობესებას, საერთაშორისო ასპარეზზე თავის გამოჩენას და სხვა. ეს აუცილებელი ნაბიჯია, რადგანაც, თუ გვინდა, რომ კონკურენტუნარიანი ვიყოთ, თანამედროვე და მუდმივად განვითარების რეჟიმში მყოფი აკადემიური პერსონალი უნდა გვყავდეს, რასაც მათი სამეცნიერო მუშაობა, კვლევები და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა გვიჩვენებს. ზოგადად მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენი სტრატეგია იქნება არა ახალი ველოსიპედის გამოგონება, არამედ არსებული ველოსიპედის გაუმჯობესება. დღეს რაც გვაქვს, ის უნდა სრულვყოთ და გავაუმჯობესოთ.

— რას ჰპირდებით ფაკულტეტის სტუდენტობას და აკადემიურ პერსონალს?

— სტუდენტებს ვპირდები რეალური დასაქმების კუთხით აქტიურ მუშაობას, კომფორტულ სასწავლო გარემოს, საინტერესო და ლაღ სტუდენტურ ცხოვრებას, რადგანაც მიმაჩნია, რომ რთული სწავლა აქტიურმა და შინაარსიანმა დასვენებამ უნდა დააბალანსოს, რაშიც, იმედი მაქვს, სტუდენტური თვითმართველობაც დაგვეხმარება.

რაც შეეხება აკადემიურ პერსონალს, მინდა მყავდეს ყველაზე მოტივირებული აკადემიური პერსონალი, რომლის საზრუნავი მხოლოდ ზემოთ აღნიშნული საკითხები იქნება. მათთვის ასეთი გარემოს შექმნა კი ჩემი პრიორიტეტია.

სტუდენტთა დასაქმების შანსი ჰიპერმარკეტ „კარფურში“

პირველი გვერდიდან

16 მარტს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სტუდენტთა დასაქმების ფორუმი გაიმართა, რომელიც თსუ-ის საერთაშორისო მიგრაციისა და განვითარების ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული. სულ ცოტა ხნის წინ ცენტრს მსოფლიოში ერთერთი უდიდესი ჰიპერმარკეტების ქსელი „კარფური“-ს წარმომადგენლები დაუკავშირდნენ და თსუ-ში დასაქმების ფორუმის ორგანიზებაში სთხოვეს დახმარება. „კარფური“ თავის ქსელში, დაახლოებით, 400 ადამიანის დასაქმებას აპირებს. მათ არჩევანი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებზეც შეაჩერეს.

„კარფური“ – მსოფლიოში ერთერთი უდიდესი, ხოლო ევროპაში ყველაზე დიდი ჰიპერმარკეტების ქსელია, იგი მსოფლიოს 33 ქვეყანაში ოპერირებს და 475 ათასი ადამიანი ჰყავს დასაქმებული. სათავო ოფისი საფრანგეთში მდებარეობს. ქსელი მსოფლიოს დამსაქმებლების „TOP“ შვიდეულში შედის. კომპანია თავის საქმიანობას 33 ქვეყანაში ახორციელებს და წარმოდგენილია 15 937 მაღაზიის სახით. „კარფური“ ადამიანური რესურსების მართვისა და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე სავაჭრო ნიშანია, რომელიც ზრუნავს თავის ქსელში მომუშავე პერსონალის განვითარებისა და სოციალური დაცვისათვის. ჩვენ თსუ-ის სტუდენტებს დასაქმების უნიკალურ შანსს ვთავაზობთ და იმედი გვაქვს, რომ სტუდენტების დიდ ნაწილს მოვიზიდავთ“, — განაცხადა „კარფური“-ს ჯგუფის წარმომადგენელმა პაკომმა სორდოილემ.

„კარფური“ სტუდენტებს სთავაზობს წარმატებული კარიერის დაწყებას; საერთაშორისო გამოცდილების მიღებას, ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგებში მონაწილეობას; პროფესიული და კარიერული წინსვლის შესაძლებლობას; კონკურენტუნარიან ხელფასს და ჯანმრთელობის დაზღვევის საოჯახო პაკეტს.

„პერსონალის შერჩევის დროს უპირატესობა მიენიჭება ინგლისური ენის მცოდნე კანდიდატებს; კომუნიკაბელურ, ენერგიულ, ორგანიზებულ, შრომისმოყვარე და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ახალგაზრდებს, რომლებიც სურვილს გამოთქვამენ — გახდნენ „კარფურ-საქართველოს“ გუნდის წევრები“, — აღნიშნა „კარფურის“ ადამიანური რესურსების დირექტორმა ელენე ოკუჯავამ.

სტუდენტებთან შეხვედრაზე „კარფურის“ ჯგუფის წევრებმა გამოაცხადეს ვაკანსიები ჰიპერმარკეტში შემდეგ პოზიციებზე: საწყობის და რეალიზაციის პერსონალი/კონსულტატი, საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ელექტრონიკის გამყიდველ-კონსულტანტი, საქონლის მიმღები პერსონალი, მოლარე, ბუღალტერი, ფინანსური განყოფილების კლერკი და რეცეფციონისტი.

დაინტერესებულმა პირმა CV უნდა გააგზავნოს (სასურველია ინგლისურ ენაზე) შემდეგ მისამართზე recruitment-geo@macfarrefour.com არაუგვიანეს 2012 წლის 31 მარტისა. კანდიდატურების შერჩევა მაისის ბოლომდე გაგრძელდება. საქართველოში "კარფურის" პირველი ჰიპერმარკეტის გახსნა თბილისის შემოსასვლელში ახალ აშენებულ სავაჭრო ცენტრ „თბილისი მოლში" 15 ივნისისათვის იგეგმება.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთვებ გვერდზე: www.jobs.ge; www.hr.com.ge.

მოამზადა **თამარ დადიანმა**

ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲐ

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲐᲡ ᲒᲛᲝᲑᲡ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ
ᲜᲐᲗᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

20 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისა და თსუ-ის სტუდენტური მოძრაობების წარმომადგენლების შეხვედრაზე 14 მარტს სტუდენტებს შორის უნივერსიტეტში მომხდარი ინციდენტის თაობაზე იმსჯელეს. სტუდენტებთან ერთად ამ საკითხის განხილვის ინიციატივა ალექსანდრე კვიტაშვილმა 15 მარტსვე, პირველი კორპუსის ეზოში გამართულ სტუდენტების საპროტესტო აქციაზე გაახმოვანა და თვეში ერთხელ მათთან შეხვედრებისთვის მზადყოფნაც გამოთქვა. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს სტუდენტებისგან დაკომპლექტებულმა socium.ge-ს სამუშაო ჯგუფის წევრებმა, სტუდენტური მოძრაობების „ლაბორატორია 1918“-ისა და „ახალგაზრდული ცენტრის“ წარმომადგენლებმა. შეხვედრას თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დავით ჩომახიძე, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული, რექტორის მრჩეველი მარინე ლომოური, სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი დალი კანდელაკი და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნანა მამაგულიშვილი დაესწრნენ.

„ჩვენ კონკრეტული მოქმედებები, ადეკვატური რეაგირება და იმის გაგება გვჭირდება, თუ რას აპირებს თსუ-ის ადმინისტრაცია. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც თსუ-ის სტუდენტის ფიზიკური უსაფრთხოება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ვფიქრობთ, რომ ყველა მოძალადე სტუდენტის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. ჩვენი თვითმიზანი არ არის, მაგალითად, ჩხუბის რომელიმე მონაწილის უნივერსიტეტიდან გარიცხვა, მაგრამ უნდა არსებობდეს ეთიკის საბჭო ან დისციპლინარული კომიტეტი, რომელიც თითოეულის პასუხისმგებლობის საკითხს განიხილავს. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ აღარ განმეორდეს მსგავსი ფაქტები“, — აღნიშნა შეხვედრაზე socium.ge-ს სამუშაო ჯგუფის წევრმა ლევან ლორთქიფანიძემ.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის განწყობაზე, რომ სტუდენტთა მოთხოვნის თანახმად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თითოეული ახალგაზრდის უსაფრთხოება დაცული უნდა იყოს, თავად თსუ-ის ადმინისტრაციის რეაგირებაც მოწმობს. თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა 15 მარტს გამართულ აქციაზე ისიც განაცხადა, რომ თსუ-ში უსაფრთხოების დასაცავად დამატებით ზომებს მიმართავენ და 14 მარტის ინციდენტის გამოძიების დასრულების შემდეგ დამნაშავე სტუდენტები ადეკვატურად დაისჯებიან.

„თსუ-ის III კორპუსში მომხდარი ინციდენტი ჩემთვის, ადმინისტრაციის ნებისმიერი წარმომადგენლისთვის და პროფესორ-მასწავლებლებისთვის არის კატეგორიულად მიუღებელი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ინფორმაციის მოწოდების მოთხოვნით ჩვენ გავაგზავნეთ წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროში და მისგან ინფორმაციას ველოდებით. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია იმოქმედებს საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილი დაკითხვის ოქმებისა და გამოწერილი გაფრთხილებების მიხედვით, რადგან ვრცელდება სხვადასხვა სახის ინფორმაცია — თუ ერთი მხარე ინციდენტში ამა თუ იმ სტუდენტის მონაწილეობას ამტკიცებს, მეორე მხარე ამას უარყოფს. სწორედ ამიტომ, ჩვენი მოქმედებების საფუძველი საპატრულო პოლიციის წარმომადგენლების მიერ მოწოდებული მასალები იქნება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს შინაგანაწესი და იქ წერია, თუ რა სასჯელი ეკუთვნით იმ სტუდენტებს, რომლებიც სხვა სტუდენტებზე ფიზიკურ ძალადობას ახორციელებენ. საბოლოო გადაწყვეტილებას ფაკულტეტების საბჭოები მიიღებენ. გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად, საბჭოს ყველა სხდომას დავესწრები.



მინდა, ასევე, მოგაწოდოთ ინფორმაცია, რომ თსუ-ის III კორპუსში მომხდარ ინციდენტამდე ერთი დღით ადრეც, თსუ-ის პირველი კორპუსის ეზოში სტუდენტებს შორის მოხდა ჩხუბი. საჭირო გახდა საპატრულო პოლიციის ორი ბრიგადის გამოძახება. საფაკულტეტო საბჭოზე ამ ფაქტის განხილვაც მოხდება. არ მინდა, ყურადღება გავამახვილოთ სტუდენტების ცემის ერთ შემთხვევაზე და მეორეზე კი თვალი დავხუჭოთ. სტუდენტებს შორის ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული ძალადობრივი დაპირისპირება უნდა აღვკვეთოთ. დამნაშავეები კი ადეკვატურად დაისაჯონ“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

14 მარტს თსუ-ის III კორპუსში მომხდარი ინციდენტი თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისა და სტუდენტების დისკუსიის მთავარი თემა იყო, თუმცა შეხვედრაზე სხვა საკითხებზეც იმსჯელეს. სტუდენტებმა დასვეს საკითხი უნივერსიტეტში ბიუროკრატიული პრობლემების, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე აუდიტორიების დეფიციტის შესახებ, ასევე, დასვეს კითხვები სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების თარიღის დაკონკრეტებასთან დაკავშირებით და სწავლის საფასურის გადახდის შეცვლილ წესთან მიმართებაში. ახალგაზრდები, ასევე, დაინტერესდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი კვების ობიექტების გახსნის საკითხით. აღნიშნულ თემებზე უფრო კონკრეტული ინფორმაცია სტუდენტებს მათთან მორიგ შეხვედრაზე მიეწოდებათ.

„მართალია, მონაწილე მხარეები არ გამოცხადდნენ შეხვედრაზე, მაგრამ მაინც დავაყენეთ 14 მარტის ინციდენტის საკითხი და რექტორისგან საკმაოდ ამომწურავი პასუხი მივიღეთ. საუბარი ძალიან ინფორმაციული იყო და იგი 2 საათის განმავლობაში გაგრძელდა. დავაკვირდებით ამ შეხვედრის შედეგებს. მინდა, ასევე, აღვნიშნო, რომ ჩვენ მუდმივად აქტიური კავშირი გვაქვს რექტორთან და მის მრჩეველთან მარინე ლომოურთან. ჩვენი მიზანია უნივერსიტეტში არსებულ პრობლემებზე მუშაობა და მათი მოგვარების გზების ჩვენეული ვერსიების ადმინისტრაციისთვის შეთავაზება“, — გვითხრა შეხვედრის დასრულების შემდეგ socium.ge-ს სამუშაო ჯგუფის ერთერთმა წევრმა მიხეილ გაბელიამ.

აღსანიშნავია, რომ 20 მარტს გამართული შეხვედრა ერთჯერადი ხასიათის არ გახლავთ. რექტორის ინიციატივით, თსუ-ის ადმინისტრაცია სტუდენტებთან კომუნიკაციას აქტიურად გააგრძელებს და მსგავსი სახის დისკუსიები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს. აქვე უნდა ითქვას, რომ ინციდენტში მონაწილე სტუდენტებმაც ჩვენთან საუბარში უკვე გამოთქვეს დისკუსიებისთვის მზადყოფნის სურვილი. უკვე ცნობილია, რომ მომდევნო შეხვედრა 24 აპრილს 17.00 საათზე თსუ-ის პირველ კორპუსში გაიმართება.

ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ

ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲗᲐᲜᲛᲓᲔᲕᲘ ᲡᲘᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲫᲚᲔᲕᲐᲓ

ადმინისტრაციული რეგისტრაცია ის პროცესია, რომელიც სტუდენტებმა აუცილებლად უნდა გაიარონ აკადემიური რეგისტრაციის წინ.

სირთულე, რომელიც ამ პროცესს ახლავს, სტუდენტთათვის ნაცნობი და ზოგჯერ მტკივნეულია, რადგანაც ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ფონზე სწავლის საფასურის გადახდა ზოგიერთი ოჯახისთვის გაძნელებულია. ამჯერად სწორედ ამ საკითხზე ვამახვილებთ ყურადღებას იმ მოტივით, რომ შეძლებისდაგვარად მოიძებნოს გამოსავალი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების შვილებისთვის სწავლის გაგრძელებისთვის. უნდა ითქვას, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობს სტუდენტებს სხვადასხვა მეთოდებით (სემესტრული გადასახადის ეტაპობრივი გადახდა, შეღავათები...) შეუმსუბუქოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის პროცესი და ხელშეწყობის რეჟიმში იმუშაოს იმ სტუდენტებთან, რომლებიც ადმინისტრაციას საკუთარი პრობლემის საქმის კურსში აყენებენ.

თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე რუსუდან სანადირაძე ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ სტუდენტის ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის პირობებს და სტატუსის შეჩერების საკითხებს არეგულირებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მეექვსე და მერვე მუხლები.

მისი თქმით, ყოველსემესტრულად სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართვის აუცილებელი წინაპირობაა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლა. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გულისხმობს სწავლის საფასურის სრულ ან ნაწილობრივ გადახდას თსუ-ში დადგენილი წესების დაცვით, წარმოადგენს აკადემიური რეგისტრაციის გავლის წინაპირობას და გამოხატავს სტუდენტის მზაობას — მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, შესაბამის სემესტრულ შუალედურ და დასკვნით გამოცდებში. აკადემიური რეგისტრაცია კი ითვალისწინებს სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას სასწავლო პროცესის მართვის სისტემის საშუალებით. „ეს პირობები ასახულია უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში, რომლის ხელმოწერის შემდგომ სტუდენტი აცხადებს მზაობას, სრულად შეასრულოს აღნიშნული დოკუმენტით ნაკისრი ვალდებულებები, მათ შორის, ფინანსურიც, “ — განაცხადა მან.

გარდა ამისა, 2011-2012 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადები განსაზღვრულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით (ბრძანება № 77/01-01), რომელშიც მიმდინარე წლის 30 იანვარს შევიდა ცვლილება (ბრძანება № 07/01-01). აღნიშნული ცვლილებით განისაზღვრა, რომ გაზაფხულის სემესტრში სტუდენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაცია გრძელდებოდა 24 თებერვლიდან 10 მარტამდე, ხოლო აკადემიური რეგისტრაცია — 5 მარტიდან 12 მარტამდე. ამავე ბრძანებით, სააუდიტორიო მეცადინეობები გაგრძელდება 12 მარტიდან 23 ივნისამდე, ხოლო საგამოცდო პერიოდად დადგენილია — 25 ივნისიდან 16 ივლისამდე ძირითადი გამოცდები, 23 ივლისიდან 28 ივლისამდე დამატებითი გამოცდები.

მიმდინარე წლის 24 იანვარს შეიცვალა უნივერსიტეტში სწავლის სემესტრული საფასურის ეტაპობრივი გადახდის წესი, რომლის მიხედვითაც სტუდენტს სამ ეტაპად შეეძლო გადასახადის გადახდა, (უნივერსიტეტის რექტორი ბრძანება №02/01-01).

ახალი ბრძანებით უნივერსიტეტის სტუდენტებს უფლება ეძლევა სწავლის სემესტრული გადასახადი გადაიხადონ ეტაპობრივად. კერძოდ, პირველი ნაწილი (სწავლის სემესტრული საფასურის არანაკლებ 50) უნდა გადაიხადონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში, ხოლო დარჩენილი ნაწილის გადახდა შესაძლებელია ადმინისტრაციული რეგისტრაციის დასრულებიდან დასკვნითი გამოცდების დაწყებამდე პერიოდში. გადახდის განსხვავებული წესი შეეხებათ იმ სტუდენტებს, რომლებიც 2012-2013 სასწავლო წელს ჩაირიცხებიან. პირველი სემესტრის სტუდენტებისთვის. კერძოდ, მათ სწავლის სემესტრული გადასახადი უნდა გადაიხადონ სრულად, ადმინისტრაციული რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში.

რუსუდან სანადირაძე

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-8 მუხლში მითითებულია, რომ სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი, გარდა ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობისა, შეიძლება გახდეს ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობა და უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა.

ყველა ეს წესი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა კარგად იციან. ამიტომ თანხის გადაუხდელობის გამო სტატუსის შეჩერების თხოვნით თსუ-ის ადმინისტრაციას ძალიან ცოტა მიმართავს. მაგალითად, მიმდინარე სემესტრის რეგისტრაციის ვადებში ასეთი სახის მხოლოდ რამდენიმე განცხადება დაფიქსირდა.

სტუდენტის სტატუსის შეჩე-

ᲛᲔ-4 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ხშირად დასმული კითხვები

ქეთი ქურციკიძე,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი:

***?** — უნივერსიტეტში ბაკალავრიატის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ კომბინირებული ხარისხი და ძირითად სპეციალობასთან ერთად აირჩიონ მეორადი სპეციალობა. რატომ ექმნებათ სტუდენტებს პრობლემები სხვა ფაკულტეტების მიმართულებებიდან მაინორის არჩევისას?*

დარეჯან თვალთვაძე,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, დამატებითი პროგრამის არჩევის თვალსაზრისით, შეზღუდვა არ არის. თსუ-ის სტუდენტს ფაკულტეტის მიერ შეთავაზებული 32 მაინორ-პროგრამიდან ნებისმიერი შეუძლია აირჩიოს. თუმცა, ძირითად პროგრამაზე სტუდენტთა დიდი რაოდენობის გამო, გარკვეული შეზღუდვაა დაწესებული ინგლისური ფილოლოგიის დამატებით სპეციალობაზე.

გვაქვს ისეთი მაინორ პროგრამები, რომლებიც ძალიან პოპულარულია და მათზე როგორც ჩვენი ფაკულტეტის, ასევე, სხვა ფაკულტეტის სტუდენტებიც სწავლობენ. მაგალითად: ქართული ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, არქეოლოგია, კინო-ტელე ხელოვნება. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს მხოლოდ მაინორ—პროგრამებიც, ასეთებია: პედაგოგიკა, გამოყენებითი ლინგვისტიკა, თეოლოგია და შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობა (იაპონისტიკა და სინოლოგია).

მაინორ პროგრამის არჩევა სტუდენტმა შეიძლება იმ შემთხვევაში ვერ შეძლოს, როდესაც მას ძირითად და დამატებით სპეციალობად ისეთი სასწავლო პროგრამები აქვს არჩეული, რომელთა შეთავსებაც რთულია. მაგალითად, მას, ალბათ, არ ეყოფა რესურსი ერთდროულად ინგლისური ფილოლოგიის (ძირითადი) და გერმანული ფილოლოგიის (მაინორი) პროგრამის გასავლელად, რადგან ორივე სპეციალობაზე ენის პრაქტიკულ კურსებს კვირაში 8 საათი ეთმობა. ამას თუ დავუმატებთ მინიმუმ 4 თეორიულ საგანს, რომელიც აუცილებლად უნდა გაიაროს სტუდენტმა (კვირაში მინიმუმ 3-4 საათიანი დატვირთვით), მისი საშუალო კვირეული სააუდიტორიო დატვირთვა 30 საათზე მეტი გამოვა. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ სტუდენტმა მაინორ პროგრამის არჩევისას გაიაროს კონსულტაცია ტუტორთან, რომელიც მას დაეხმარება არჩევანის სწორად გაკეთებაში.

ნანიკო ივანიაშვილი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი:

***?** — არის თუ არა შესაძლებელი ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის გერმანულენოვანი გაცვლითი პროგრამების უფრო მეტი სიხშირით შემოთავაზება?*

მაია მენთეშაშვილი,
თსუ-ის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი:

— გერმანულენოვანი გაცვლითი პროგრამების პირველი ეტაპი ჩატარდა 2011 წლის დეკემბრის თვეში. მეორე ეტაპი – ზეპირი გასაუბრება, ჩატარდება 2012 წლის გაზაფხულზე. ინფორმაცია დაიდება თსუ-ის ვებ-გვერდზე. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით ტელეფონზე: 2 25 02 12 ან მობრძანდით თსუ-ის II კორპუსში ოთახი №204.

სოფო აზარიაშვილი,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი:

***?** — აპირებს თუ არა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გაატაროს რამე ღონისძიებები სტუდენტებისთვის აკადემიური რეგისტრაციის პროცესის გამარტივების მიზნით?*

რევაზ ჯორბენაძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე:

— აკადემიური რეგისტრაციის პროცესის გაუმჯობესების მიზნით კეთდება ახალი ბაზა "NOAH" გერმანელ ექსპერტებთან ერთად. ბაზაზე მუშაობა უკვე ერთი წელია მიმდინარეობს. მანამდე კი ჩვენი ფაკულტეტის სპეციალისტები სტუდენტებს პრობლემის შექმნის შემთხვევაში ყველანაირად ეხმარებიან. ამჟამად, ბაზაში მონაცემების არევა იშვიათად ხდება და ესეც მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ სტუდენტს სტატუსი ჰქონდა შეჩერებული, ან რომელიმე საგანი ვერ ჩააბარა. ახალი ბაზის ამოქმედების შემდეგ ყველა ეს პრობლემა ავტომატურად მოგვარდება.

დავით ნოზაძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი:

***?** — არის თუ არა შესაძლებელი აკადემიური რეგისტრაციის გავლისას ბაზაში საგნების არჩევამდე განთავსდეს ცხრილები?*

რევაზ ჯორბენაძე,
თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე:

— საგნების არჩევამდე ფაკულტეტის ბაზაში ცხრილი უმეტესწილად განთავსებულია. იმ შემთხვევაში, თუ ბაზაში საგნის ჩატარების დრო და ადგილი არ არის მითითებული, სტუდენტებს მისი ნახვის შესაძლებლობა თსუ-ის ვებ-გვერდზე აქვთ. ცხრილები გამოკრულია ფაკულტეტის დეკანატთანაც და ფაკულტეტის სასწავლო კორპუსებში. შესაბამისად, მათ შეუძლიათ აკადემიური რეგისტრაციის გავლამდე მიიღონ ინფორმაცია ყველა საგნის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ.

მოამზადეს
სოფიკო აბრალავამ და ნატო ოგოლაძემ

ორიენტაცია ადმინისტრაციული რეგისტრაციის პროცესის თანმდევი სირთულის დასაძლევად

მესამე გვერდიდან

რების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. თუ ხუთი წლის განმავლობაში სტუდენტი, რომელსაც ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის საფუძველზე ჰქონდა სტატუსი შეჩერებული, შეძლებს ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლას, აღუდგება სტატუსი და სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომელშიც დაფიქსირდა სტატუსის შეჩერება.

როგორც ქალბატონმა რუსუდანმა აღნიშნა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ადმინისტრაციას სტატუსის შეჩერების მოთხოვნით ძირითადად ორ შემთხვევაში მიმართავენ: თუკი მათ სწავლის გაგრძელება სურთ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან თავს იჩენს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც დოკუმენტურად არის დადასტურებული.

„ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის გამო კონკრეტულად რამდენ სტუდენტს აქვს სტატუსი შეჩერებული, ვერ მოგახსენებთ, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩვენმა სტუდენტებმა ხშირ შემთხვევაში იციან სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებული თავიანთი უფლებებიც და მოვალეობებიც. თუკი სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩანს, რომ სტუდენტმა არ გაიარა ადმინისტრაციული რეგისტრაცია, მისთვის შეუძლებელი იქნება აკადემიური რეგისტრაციის გავლა, ანუ სასწავლო კურსების არჩევა." – განაცხადა რუსუდან სანადირაძემ.

გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სტუდენტი სრულად ვერ ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს, არის თანხის დაგვიანებით გადახდის შემთხვევებიც. სწორედ ასეთი პრობლემა შეექმნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის რამდენიმე სტუდენტს, რომლებმაც თხოვნით მოგვმართეს, გაგვერკვია, რა შეღავათი შეიძლება გაეწიოთ მათ ასეთ შემთხვევაში. რუსუდან სანადირაძის თქმით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მიმდინარე წლის გაზაფხულის სემესტრში გაითვალისწინა ეს საკითხი და ასეთი პრობლემის მქონე სტუდენტებს მისცა რეგისტრაციის გავლის უფლება — მათ გაუხსნეს სასწავლო ბაზები, რითაც სტუდენტთა სასწავლო პროცესს და საგნების არჩევას ხელი არ შეშლია.

ფინანსური ვალდებულების შესრულების პრობლემა განსაკუთრებით დგას სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილებისათვის. არის თუ არა უნივერსიტეტში რაიმე ბერკეტი იმისთვის, რომ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების შვილებს დახმარება გაეწიოს? ამ კითხვაზე თსუ-ის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილემ გვიპასუხა, რომ დღეისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე, სხვადასხვა სახის სოციალური გრანტით დაფინანსებული 200-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა სოციალური გრანტი რეგისტრაციის ვადებში არ ირიცხება, უნივერსიტეტი მათ აკადემიური რეგისტრაციის გავლაში დაბრკოლებას არ უქმნის. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ის, რომ როგორც წინა სემესტრებში, უნივერსიტეტმა ამ სემესტრშიც გაითვალისწინა ქალაქ თბილისის მერიის პროგრამით დაფინანსებული 30 სტუდენტის მდგომარეობა და სწავლის საფასურის ჩარიცხვამდე მისცა აკადემიური რეგისტრაციის გავლის შესაძლებლობა.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი ზრუნავს ფინანსური პრობლემების მქონე სტუდენტთა ხელშეწყობისთვისაც. კერძოდ, მიმდინარე სემესტრში შეღავათი გაეწია 40 სტუდენტს, რომლებმაც გადასახადის გადავადების თხოვნით მიმართეს უნივერსიტეტის რექტორს.

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, თუ სტუდენტს სტატუსი ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის მიზეზით აქვს შეჩერებული და 5 წლის მანძილზე კვლავაც ვერ შეძლებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლას, მას სტუდენტის სტატუსი უწყდება, თუმცა ამით განათლების მიღების საშუალებას მას არავინ უკრძალავს. რექტორის ბრძანების გამოცემიდან 12 თვის განმავლობაში, სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს მობილობის წესით და სწავლა განაგრძოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საყურადღებო მინიშნება:
კანონმდებლობის შესაბამისად, მიმდინარე სემესტრში რექტორის ბრძანება სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერების თაობაზე გამოიცემა 2012 წლის 1 აპრილისთვის.

გიორგი ტეფნაძე — ესტატე ხმალაძის სახელობის 2012 წლის სტიპენდიატი

ნატო ოგოლაძე

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ესტატე ხმალაძის სტიპენდიის მიმნიჭებელმა კომისიამ 3 კანდიდატის მონაცემები განიხილა და უპირატესობა მათემატიკის მიმართულების მაგისტრანტის — გიორგი ტეფნაძის სამეცნიერო კვლევებს მიანიჭა, რომლის ნამუშევრებიც ევროპის ორ მაღალ რეიტინგულ ჟურნალშია დაბეჭდილი. გამარჯვებულმა 1000 დოლარის ოდენობის ფულადი ჯილდო უკვე მიიღო.

„სტიპენდიის მოპოვების მსურველებს განაცხადის შეტანა 2011 წლის საშემოდგომო სემესტრში შეეძლოთ. მე წარვადგინე ჩემი სამეცნიერო ნამუშევრები და აკადემიური მოსწრების მონაცემები. მთავარი, რის გამოც სტიპენდია გადმომეცა, ჩემი ნაშრომები გახდა, რომლებიც უცხოურ ჟურნალებშია დაბეჭდილი. ეს ნაშრომებია: "Fejer means of Vilenkin-Fourier series", "On The maximal operators of Vilenkin-Fejer means" და "The maximal operators of logarithmic means of one-dimensional Vilenkin-Fourier series." ჩემი ხელმძღვანელი თსუ-ის სრული პროფესორი ზაზა გოგინავა გახლავთ", — განაცხადა გიორგი ტეფნაძემ.

გიორგი ტეფნაძე თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების II სემესტრის მაგისტრანტია და სამეცნიერო მუშაობის გაგრძელებას მომავალშიც გეგმავს. ამჟამად, პროფესორ ზაზა გოგინავასთან ერთად ჩადგმის თეორემებისა და ინტერპოლაციის თეორემებზე მუშაობს.

ესტატე ხმალაძის სახელობის 2012 წლის სტიპენდიატის დაჯილდოების ცერემონია 22 მარტს გაიმართა. ღონისძიებას თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი რამაზ ბოჭორიშვილი და აკადემიური საბჭოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ესტატე ხმალაძის სტიპენდია 2008 წლიდან სისტემატურად ცხადდება. გამარჯვებულები ჯილდოს სახით ერთჯერადად 1000 დოლარს იღებენ, რომელსაც თსუ-ის ფიზიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, მათემატიკისა და ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი ესტატე ხმალაძე პირადი სახსრებიდან გამოყოფს. ამჟამად ესტატე ხმალაძე ახალ ზელანდიაში, ველინგტონის ვიქტორიას უნივერსიტეტის მათემატიკური და კომპიუტერული მეცნიერებების კოლეჯში პროფესორის პოზიციაზე მოღვაწეობს. მისი კვლევებიდან ყველაზე მეტად ცნობილია ნაშრომი სტატისტიკაში, რომელსაც ხმალაძის ტრანსფორმაციას უწოდებენ.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲐ — ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ

ახალი სემესტრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობას კვლავ ბევრი გეგმა აქვს, რომელთა განხორციელებაზე მუშაობას უკვე შეუდგა ყველა დეპარტამენტი. წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად მთავარი პრიორიტეტი განათლების და მეცნიერებისათვის ხელშეწყობა იქნება. რა ღონისძიებებს გეგმავს სტუდენტური თვითმმართველობა ამ მიმართულებით და რამდენად ახერხებს დაეხმაროს სტუდენტებს მათი პრობლემების გადაჭრაში, ამ საკითხებზე თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი **ᲓᲐᲩᲘ ᲒᲣᲨᲑᲐᲫᲔ** *გვესაუბრება.*

— აღსანიშნავია, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩვენი პრიორიტეტები შეიცვალა, რაც იმაში გამოიხატება, რომ დღეს გაცილებით მეტი თანხა იხარჯება სამეცნიერო და შემეცნებითი პროექტების განხორციელებისათვის და შედარებით ნაკლები თანხები დაიხარჯება ტურისტულ და გასართობ პროექტებზე.

უახლოეს ხანში დაგეგმილია თემატურად მრავალფეროვანი სამეცნიერო კონფერენციები, სხვადასხვა სახის შემეცნებითი ღონისძიებები, როგორც საფაკულტეტო, ისე უნივერსიტეტის მასშტაბით, რაც სტუდენტებს დაეხმარება პროფესიულ განვითარებაში. ამასთან, ჩვენი მიზანია, სტუდენტური თვითმართველობის მუშაობაში უფრო მეტი სტუდენტი ჩაერთოს. მათ ჩვენი მხრიდან ყველანაირ ხელშეწყობას ვპირდებით.

— ***თქვენ საერთაშორისო პროექტებზეც მუშაობთ. ამ მიმართულებით კონკრეტულად რა ღონისძიებები იგეგმება?***

— ზოგადად, ჩვენ წინასწარ გვაქვს შემუშავებული სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ესა თუ ის პროექტი.

2102 წელს ერთერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იქნება საერთაშორისო კონფერენციები. ამ კუთხით ჩვენ მნიშვნელოვნად გავააქტიურეთ მუშაობა. მაგალითად, ერთი წლის წინ, ჩვენი ინიციატივით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოვიდა მსოფლიოს 16 ქვეყნის 18 წამყვანი უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი, რომლებმაც სიამოვნებით გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ ისინი, ამავდროულად, ევროპის სტუდენტთა კავშირის წევრებიც არიან. ეს კავშირი ევროპის წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტებს და მათ თვითმმართველობებსაც აერთიანებს, ამიტომ მათთან შეხვედრა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა მნიშვნელოვანი იყო. ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა გრძელდება და, შედეგად, ივნისის დასაწყისში ვგეგმავთ მასშტაბური საერთაშორისო ღონისძიების გამართვას, სადაც ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის 100 წარმომადგენელი მიიღებს მონაწილეობას. სწორედ ეს ღონისძიება იქნება იმის წინაპირობა, რომ შემდგომში ჩვენც გავწევრიანდეთ ამ კავშირში, რაც არა მარტო თვითმართველობისათვის, არამედ ყველა სტუდენტისთვის სასიამოვნო ფაქტი იქნება, რადგანაც უფრო მეტი შანსი ექნებათ, რომ მათ მიერ დაგეგმილ პროექტებსა და გაცვლით პროგრამებში მიიღონ მონაწილეობა და მეტი კავშირი დაამყარონ უცხოელ თანატოლებთან.

ეს წელი კიდევ იმით იქნება მნიშვნელოვანი, რომ ნოემბრის ბოლოს თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება

უახლოეს მომავალში ასევე დაგეგმილია ნატოს სამიტისადმი მიძღვნილი კონფერენცია, სადაც სტუდენტები მოწვეულ სტუმრებთან ერთად იმსჯელებენ, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ნატოში გაერთიანება და მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხებს მიიღებენ.

— ***რამდენად ითვალისწინებთ ღონისძიებების დაგეგმვისას სტუდენტთა ინტერესებს?***

— მათი ინტერესების გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია ჩვენი მუშაობა. სხვათა შორის, ახალი სემესტრიდან ყველა კორპუსში დაიდგმება ყუთები, სადაც ნებისმიერ სტუდენტს შეეძლება თავისი მოსაზრება, თხოვნა თუ პრეტენზია გამოხატოს. ჩვენთან შექმნილია სპეციალური ჯგუფი, რომელიც კვირაში ერთხელ შეიკრიბება, განიხილავს ამ წერილებს და შესაბამის რეაგირებას მოახდენს. სტუდენტური თვითმართველობის მთავარი ფუნქცია ისიც არის, რომ სტუდენტებს პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროს. ჩვენი კარი ნებისმიერი სტუდენტისათვის ყოველთვის ღიაა.

ეს წელი კიდევ იმით იქნება მნიშვნელოვანი, რომ ნოემბრის ბოლოს თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება.

და ბოლოს, მინდა ყველა სტუდენტს მივულოცო განახლებულ პირველ კორპუსში დაბრუნება, რადგან აქ სწავლა და მუშაობა თითოეული ჩვენგანისთვის დიდი სტიმულია.

მოამზადა **ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲛᲐ**

ᲡᲐᲦᲐᲛᲝ

ᲐᲛ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲒᲐᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲔᲣᲚᲘ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

გენიოსის დაბადებას საუკუნეები სჭირდება. მისი უკვდავება მისსავე შემოქმედებაშია, რომელიც ყოველი ახალი საუკუნის საზოგადოებას მორალურად ასაზრდოებს. ამასთანავე, მისი სათქმელი ბოლომდე ამოუხსნელიც რჩება და მასში სიახლის მოძებნაც ყოველთვის შეიძლება. ასეთია ვაჟა-ფშაველას პუბლიცისტიკაც, პროზაც და პოეზიაც. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ მისი ნათქვამის გაგება და გააზრება დღეს თანამედროვე ქართულ საზოგადოებას წამალივით ესაჭიროება. ვაჟა-ფშაველა იყო იმ იშვიათ ადამიანთაგან ერთერთი, რომელიც ცხოვრობდა ზუსტად ისე, როგორც სხვებს მოუწოდებდა. შესაბამისად, იგი სამაგალითოა ნებისმიერი მოზარდის, ზრდასრული თუ ხანდაზმული ადამიანისათვის, განსაკუთრებით კი სტუდენტებისთვის, რომელთა ხელშიც ქვეყნისა და ერის მომავალია. სწორედ ამ საკითხების განსახილველად შეიკრიბნენ 22 მარტს თსუ-ში სტუდენტები და მოწვეული სტუმრები, რომელთა შორის ვაჟა-ფშაველას შთამომავალი ლელა რაზიკაშვილი, პროფესორი დავით წოწკოლაური და წიგნის „ვაჟა-ფშაველა — ილუსტრირებული ბიოგრაფიები“ ავტორი, მწერალი მიხო მოსულიშვილი გახლდნენ. ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ საღამოზე „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“ სტუდენტებმა პოეტის და პოეტისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს, შეასრულეს რამდენიმე ხალხური სიმღერაც. მწერალმა მიხო მოსულიშვილმა ახალგაზრდებს წიგნზე მუშაობის პროცესის შესახებ უამბო. აღსანიშნავია, რომ მისი ნამუშევარი „ვაჟა-ფშაველა — ილუსტრირებული ბიოგრაფიები“ ლიტერატურული კონკურსის „გალას“ გამარჯვებული გახდა ნომინაციაში — „სამაგიდო წიგნი“.

„მთელი ცხოვრება ვწერდი ამ წიგნს. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს თსუ-ის პირველი კორპუსის ბიბლიოთეკაში ვიჯექი და ვკითხულობდი ვაჟა-ფშაველას ბიოგრაფიას, მის შემოქმედებას. ჩემი პატარა ბლოკნოტი მქონდა, სადაც ვიწერდი, თუ როგორ ვხედავდი მის ამა თუ იმ პერსონაჟს. ვაჟას 150 სურათი მაქვს მოგროვებული და ძალიან გული დამწყდა, რომ ყველა ამ წიგნში არ ჩაეტია. სწორედ ამიტომ მინდა, რომ გამოცემა ინფორმაციულად კიდევ გავზარდო. ვაჟა-ფშაველა თავისი ფილოსოფიური სიღრმით, ინტელექტუალური სიმაღლით ჩვენზე რამდენიმე საუკუნით წინ არის. ვაჟას შემოქმედება ჯერ კიდევ არ გვაქვს კარგად შესწავლილი“, — განაცხადა სტუდენტებთან საუბრისას მიხო მოსულიშვილმა.

მოწვეულმა სტუმრებმა ახალგაზრდებს სთხოვეს ეშუამდგომლათ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, რომ I კორპუსში, ყოფილ 93 აუდიტორიაში, სადაც 1915 წელს ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალა, ამ ფაქტის აღსანიშნავი მემორიალური დაფა განთავსდეს

კიდევ ერთი სტუმარი, რომელთანაც სტუდენტებმა ვაჟა-ფშაველას ცხოვრება და შემოქმედება განიხილეს, მისი ძმის შვილთაშვილი ლელა რაზიკაშვილი იყო. იგი ამჟამად ჩარგალში ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის დირექტორი გახლავთ.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიყო მისი სული და სხეული. იგი შემოვიდა და დარჩა აქ მუდმივ მასწავლებლად. გამოიყენეთ ეს და თქვენ დაასწარით სხვებს ვაჟას სახელის ხსენება. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი ვაჟას ფენომენის შესასწავლად. შეიძლება ფშავში ყველაფერი ამოვწურეთ, თუმცა არქივებში გვაქვს სამუშაო. უფალმა ადამიანი შექმნა მსგავსად და ხატად თავისა და რაც უფრო დიდია ეს ადამიანი თავისი შემოქმედებითი უნარით, მით უფრო მეტად ემსგავსება უფალს. შეიძლება არ მაქვს ამის თქმის უფლება, მაგრამ ვფიქრობ, ვაჟა-ფშაველა ამ მხრივ მიუახლოვდა უფალს. დააკვირდით ვაჟას წერილებს, თითქოს დღევანდელობაზე წერს. იგი არის წარსულის, აწმყოსა და მომავლის მოაზროვნე და გვასწავლის ყველაზე მთავარს, რომ მიზანი არ ამართლებს ყოველთვის საშუალებას და რომ ჩვენ მორალით, სწორი ფასეულობებით უნდა ვიცხოვროთ. ვაჟა არის XIX საუკუნის ადამიანი, რომელმაც ჩამოაყალიბა ფასეულობათა მთელი სისტემა. ახლა ჩვენ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების შესახებ სხვადასხვა ევროპულ კონვენციებს ვუერთდებით, მაგრამ წარმოიდგინეთ რამდენად ადრე წერდა ამ ყველაფრის შესახებ ვაჟა-ფშაველა“, — თქვა ლელა რაზიკაშვილმა.

ლელა რაზიკაშვილი

ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილი საღამო „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“ თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის კულტურის დეპარტამენტის ინიციატივითა და ორგანიზებით მოეწყო. ღონისძიების დასასრულს მოწვეულმა სტუმრებმა ახალგაზრდებს სთხოვეს ეშუამდგომლათ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, რომ I კორპუსში, ყოფილ 93 აუდიტორიაში, სადაც 1915 წელს ვაჟა-ფშაველა გარდაიცვალა, ამ ფაქტის აღსანიშნავი მემორიალური დაფა განთავსდეს.

ღირებული შენაძენი თსუ-სთვის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკა შეუერთდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროცესს გარკვეული სირთულეები ახლავს, თითოეულ მხარეს გააზრებული აქვს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა ურთიერთთანამშრომლობის ახალი ეტაპი. ორივე დაწესებულებას თავისი მდიდარი ისტორია და ტრადიციები გააჩნია, რომლის გაცნობა მნიშვნელოვანია თსუ-ის სტუდენტებისთვის და იმ აკადემიური პერსონალისთვის, რომლებსაც მომავალში ამ დაწესებულებებთან მჭიდროდ თანამშრომლობის საშუალება მიეცემათ.

ამ საკითხებზე გვესაუბრებიან საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ირაკლი ღარიბაშვილი *და თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი* მარიამ მანჯგალაძე.

ირაკლი ღარიბაშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:


ირაკლი ღარიბაშვილი

— ჩვენი ბიბლიოთეკის არსებობა 69 წელს ითვლის. ამ ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მან უდიდესი წვლილი შეიტანა სხვადასხვა მეცნიერების დარგების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. აქ ინახება უამრავი საინტერესო და ისტორიულად მნიშვნელოვანი დოკუმენტი. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა დამოუკიდებელ იურიდიულ პირად 2006 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის, სამეცნიერო ტექნიკური ბიბლიოთეკის და ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმის გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა 1941 წელს დაარსდა, მაშინ წიგნადი ფონდი 2000 ბეჭდურ ერთეულს შეადგენდა. ძირითადი ფონდის ჩამოყალიბება კი 1948 წლიდან დაიწყო. 1949 წელს ბიბლიოთეკას სათავეში ჩაუდგა ვ. უზნაძე, რომლის მთავარი საზრუნავი წიგნების რაოდენობის გაზრდა და ბიბლიოთეკის შიდა სტრუქტურის ჩამოყალიბება იყო. 1955 წლიდან ბიბლიოთეკამ კავშირი დაამყარა ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, აშშ-ის, შვეიცარიის და სხვა ქვეყნების 1000-ზე მეტ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებასა და გამომცემლობასთან. სხვადასხვა დროს ბიბლიოთეკამ ანდერძით, ან შესყიდვით მიიღო ცნობილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების – ე. თაყაიშვილის, ვ. ბერიძის, ს. ნარიკაშვილის, ვ. ვორონინის, ა. ბაიკოვის, მ. პოლიევკტოვის, გ. ლომთათიძის, ნ. ლორთქიფანიძის, ძმები ი. და ვ. ასლანიშვილების და სხვათა პირადი ბიბლიოთეკები. პოეტმა-აკადემიკოსმა იოსებ გრიშაშვილმა სახელმწიფოს უანდერძა ასიათასტომიანი ბიბლიოთეკა-მუზეუმი, რომელიც მრავალ იშვიათ გამოცემას შეიცავს. ი. გრიშაშვილის სახლ-მუზეუმიც დღეს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შემადგენლობაში შედის. ამჟამად ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა საქართველოს უდიდესი ბიბლიოთეკაა, რომლის წიგნების ფონდი 3,5 მილიონს აღწევს, აქედან 600 ათასზე მეტი უცხოური გამოცემაა, 2 მილიონი პერიოდული გამოცემა. ბიბლიოთეკაში ინახება, ძირითადად, ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგების ლიტერატურა. რარიტეტისა და კოლექციების ფონდი მოიცავს 22 635 ბეჭდურ ერთეულს. აქ დაცულია არაერთი გამოჩენილი მეცნიერისა თუ საზოგადო მოღვაწის პირადი ბიბლიოთეკა, აგრეთვე, მრავალი რარიტეტული გამოცემა, მათ შორის, ისეთებიც, რომელთა მხოლოდ ერთადერთი ეგზემპლარია შემორჩენილი.

აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკაში არსებობს უსინათლოთა და მცირემხედველთა მომსახურების ცენტრი, რომელიც დაფუძნდა ასოციაცია „უსინათლოების საზღვრების გარეშე“ და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ერთობლივი ძალისხმევით.

ბიბლიოთეკა იანვრიდან შეუერთდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. პროცესი ახლაც მიმდინარეობს. ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია, რომ გავეცნოთ ყველა სტრუქტურულ ერთეულს, გამოვიკვლიოთ — რა სჭირდება თითოეულ ფაკულტეტს და ა.შ. ამასთან, ვითვალისწინებთ, რომ უნივერსიტეტი სასწავლო დაწესებულებაა და ჩვენი აქტიური მომხმარებლები მეცნიერების გარდა სტუდენტებიც იქნებიან, გვინდა უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ მათ მომსახურებას. ჩვენ ამის შესახებ სხვადასხვა ვარიანტი გვაქვს შემუშავებული. ამასთან დაკავშირებით გავააქტიურეთ ელექტრონული ვერსიების შექმნა, თუმცა ეს პროცესი ბიბლიოთეკაში ადრეც მიმდინარეობდა, უკვე შექმნილია ელექტრონული კატალოგი, რომლის შევსება ახლაც გრძელდება. აღსანიშნავია, რომ თითოეულ წიგნს თავის ყდა და ანოტაციაც მოჰყვება. ამასთან, დარეგისტრირებულ მკითხველს შეუძლია თავისი აზრი დააფიქსიროს და შენიშვნები მოგვაწოდოს. სხვა ბევრი ინოვაციაც გვაქვს, რომლებიც, იმედია, სტუდენტებისთვის საინტერესო იქნება.

მარიამ მანჯგალაძე,
თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

— არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ისტორია შვიდ ათეულ წელზე მეტს ითვლის. იგი დაარსებიდან ძალიან მოკლე ხანში ჩამოყალიბდა აღიარებულ, გამორჩეულ სამეცნიერო ცენტრად როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი დაარსდა 1941 წელს აკადემიკოს ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ბაზაზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაარსებასთან დაკავშირებით ენიმკი გაიყო ორ ინსტიტუტად: ენისა და ისტორიის, შემდეგ მას ეწოდა აკადემიკოს ნიკო მარის სახელობის ენის ინსტიტუტი, 1950 წლიდან ერქვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 1988 წელს მიენიჭა აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელი. ინსტიტუტი 2006 წლიდან ფუნქციონირებდა ახალი იურიდიული სტატუსით, როგორც სსიპ არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 2011 წლის 27 ივნისის საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე კი სსიპ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეული გახდა. ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ქართველოლოგია კავკასიოლოგია, ლექსიკოლოგია, ტერმინოლოგია, ქართული ენის ნორმალიზაცია და სტანდარტიზაცია, ენის ახალი ტექნოლოგიებით დოკუმენტირება და კვლევა; კორპუსის ლინგვისტიკა და თეორიული ენათმეცნიერება.

აღსანიშნავია, რომ ენათმეცნიერების ინსტიტუტი ერთადერთი სამეცნიერო დაწესებულებაა, სადაც შეისწავლება იბერიულ-კავკასიური ოჯახის 30-ზე მეტი ენა (მათგან დამწერლობის მქონეა 15 ენა). კვლევის შედეგები ქვეყნდება როგორც მონოგრაფიების სახით, აგრეთვე სამეცნიერო კრებულებში. ინსტიტუტის ძირითადი სამეცნიერო ორგანოებია: „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ და „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“, რომლებიც 1946 დაარსდა, ასევე საინსტიტუტო კრებულები: „ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები“, „ქართველოლოგიური კრებული“, „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, გამოცემულია შრომათა კრებულები ზოგად ენათმეცნიერებასა და ექსპერიმენტულ ფონეტიკაში, ეტიმოლოგიურ კვლევებსა და დიალექტოლოგიაში.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში შეიქმნა ფუნდამენტური გამოკვლევები, რომლებმაც არსებითად განსაზღვრა ენათმეცნიერული აზრის განვითარება საქართველოში.

ენათმეცნიერების ინსტიტუტს მუდმივი სამეცნიერო კონტაქტები აქვს უცხოეთის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებთან. ინსტიტუტის თანამშრომლებს მუდმივად იწვევენ სხვადასხვა ქვეყნებში სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე.

ინსტიტუტისთვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ქართული სალიტერატურო ენის, ქართველურ ენათა დიალექტებისა და დარგობრივი ლექსიკონების სრული კორპუსის შექმნა. ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოცემულია „ხევსურული ლექსიკონი“, „თუშური ლექსიკონი“, „გურული ლექსიკონი“ „ქართლური ლექსიკონი“, „სვანური ლექსიკონი“ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალი რედაქციის I და II ტომები, „ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“ (I და II ტომი), „ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი“, „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“; ინსტიტუტის მონაწილეობით და ხელმძღვანელობით გამოსაცემად მომზადდა ენციკლოპედია „ქართული ენა“; „რუსთაველის ფონდის“ მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი: „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ელექტრონული ვერსია“; გამოსაცემად მომზადებულია დიდი ქართულ-რუსული ლექსიკონი.

უნდა ითქვას, რომ განხორციელებულმა ცვლილებამ, ბუნებრივია, გარკვეულწილად შეზღუდა ინსტიტუტის დამოუკიდებელი საქმიანობა. შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქუდქვეშ“ მყოფი ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო პრობლემების აღიარება პრიორიტეტულ მიმართულებებად, რათა ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული სამეცნიერო კვლევის კულტურა, გამოცდილება და ის მიღწევები, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, კვლავ სახელმწიფო ენის განვითარებასთან, ნორმალიზაციასთან, სტანდარტიზაციასა და თანამედროვე ტექნოლოგიებით კვლევასთან იყოს დაკავშირებული.

მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სასწავლო და კვლევითი კომპონენტი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ახალმა სტატუსმა ახალი აქტივობა მოითხოვა ინსტიტუტის თანამშრომლებისგან. გვინდა აღვნიშნოთ, რომ მეცნიერ-თანამშრომელთა უმეტესობას უმაღლეს სასწავლებლებში სწავლების კარგი გამოცდილება აქვთ და, ვფიქრობთ, ისინი ამ გამოწვევისთვის მზად არიან.

უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დავით ჩომახიძემ და სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი ღვედაშვილმა ერთობლივ შეხვედრებზე არაერთგზის აღნიშნეს ინსტიტუტის განსაკუთრებული როლი და ისაუბრეს მისი განვითარების პერსპექტივაზე სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში. ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას ინსტიტუტი და გვაქვს დიდი იმედი, რომ დედაუნივერსიტეტის მხარდაჭერით განვახორციელებთ არაერთ საინტერესო პროექტს, ვიტყვით ახალ სიტყვას სახელმწიფო ენის განვითარების საქმეში.

მოამზადა
შურთხია გეროშვილმა

მოკლედ

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში წიგნის — „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“ პრეზენტაცია გაიმართა



თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, 21 მარტს წიგნის — „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“ პრეზენტაცია გაიმართა. ნაშრომის ავტორები არიან გიორგი გოგოლაშვილი, ავთანდილ არაბული, მურმან სუხიშვილი, მარიამ მანჯგალაძე, ნინო ჭუმბურიძე და ნინო ჯორბენაძე.

გიორგი გოგოლაშვილის თქმით, „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის“ აკადემიურმა კურსმა ქართველ ლინგვისტთა რამდენიმე თაობის მეცნიერული ნააზრევი გააერთიანა.

„ეს წიგნი ქართული ენათმეცნიერების განვითარების ისტორიაში საპატიო მნიშვნელობის ნაშრომია. მან უნდა იტვირთოს ის როლი, რაც თავის დროზე შეასრულა ანტონ ბაგრატიონის „ქართული ენის ღრამმატიკამ“ და შემდეგ აკაკი შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლებმა“, — აღნიშნა გოგოლაშვილმა.

მარიამ მანჯგალაძის განმარტებით, „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის“ აკადემიურ კურსს, გარდა თეორიული მნიშვნელობისა, დიდი პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს. იგი ქართული ენის მეცნიერული შესწავლის მსურველთ ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს და კერძოდ, უცხოელ ქართველოლოგებს, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს, დოქტორანტებს და, საერთოდ, ქართული ენის მორფოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ პირებს.

„თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის აკადემიური კურსი“ შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა.

თსუ-ის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის საუკუნის პროექტი

მაია ტორაძე

გასულ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს რამდენიმე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შეუერთდა. ამ პროცესს მათი უმეტესობა კმაყოფილებით შეხვდა და ახალ გარემოში დამკვიდრების პირველი ეტაპის სირთულეები თსუ-ის ადმინისტრაციასთან ერთობლივი ძალისხმევით დაძლია.

რისი გაკეთება შეძლეს სამეცნიერო ინსტიტუტებმა ერთი წლის განმავლობაში? რა პროექტები სრულდება დღეისათვის? რამდენად შეუწყო ხელი უნივერსიტეტმა მათ მოღვაწეობას? ამ ინტერესის დასაკმაყოფილებლად მივმართეთ თსუ-ის კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტს, რომელიც ჩვენ შარშან, უნივერსიტეტთან შეერთების პირველივე დღეებში მოვინახულეთ.

მაშინ ინსტიტუტი ის-ის იყო ლაგდებოდა და ფართი, რომელშიც მათ ბინა დაიდეს, არც თუ თვალსაამოდ გამოიყურებოდა. სახურავიდან ჩამოსული წვიმას კედლებზე „მშვენიერი ტილოები“ შეექმნა... ჯერ კიდევ დერეფანში იდგა ავეჯი, ლაბორატორიული ტექნიკა, სხვადასხვა საჭირო ნივთი და გამოუყენებელი ხარა-ხურა, რომელიც ოთახებიდან გამოეყარათ... მოკლედ, დიდი ქაოსი სუფევდა, თუმცა ოთახი, სადაც მათ ანალიტიკოსებისთვის ლაბორატორია სახელდახელოდ მოეწყოთ, სხვადასხვა ფერის სინჯებით იყო მოფენილი, რადგანაც უცხოურ შეკვეთაზე მუშაობდნენ და ყოველ წუთს მნიშვნელობა ჰქონდა. მაშინ ინსტიტუტის დირექტორი წუხდა, რომ სხვა შენობაში გადმოსვლის პროცესი სამეცნიერო კვლევებსა და შეკვეთების შესრულებას აფერხებდა.

ამჯერად სულ სხვა სურათი დაგვხვდა.

ერთი წლის შემდეგ...

ჩვენი მეგზურობა ამჯერადაც მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორმა რევაზ კვატაშიძემ ითავა.

როგორც კი ნაცნობ გარემოს მივადექით, ვიგრძენით, რომ გასული ერთი წელი აქ მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდი ყოფილა: ახალი სახურავი, სისუფთავე, შეძლებისდაგვარად გარემონტებული ოთახები და ისევ ის საქმიანი სიტუაცია, რომელიც ერთი წლის წინ, ჯერ კიდევ დაულაგებელ ლაბორატორიებში იგრძნობოდა.

„ეს ცვლილებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით განხორციელდა, თანამშრომლებს ნორმალური სამუშაო პირობები შეექმნათ და ამისთვის მადლობელი ვართ“, — გვითხრა ბატონმა რევაზმა და დაწვრილებით გვიამბო იმ სამეცნიერო პროექტებზე და საერთაშორისო შეკვეთებზე, რომელიც ამ ინსტიტუტში ხორციელდება.

რევაზ კვატაშიძე: „გასული წლის 16 მარტს დავასრულეთ გადმოსვლა. მაშინაც მნიშვნელოვან შეკვეთებზე ვმუშაობდით და გვინდოდა უცხოელი დამკვეთებისთვის სამუშაო დროზე ჩაგვებარებინა. ამიტომაც სასწრაფოდ გავმართეთ 5 ოთახი, რომ საქმეში ხელი არ შეგვშლოდა.

დღეისათვის რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობთ. განსაკუთრებით უნდა გამოვყო უცხოელი ინვესტორების დაკვეთა, რომელიც ჩვენს ინსტიტუტში სრულდება. საქმე ეხება ირანში მდებარე მივერუდის საბადოს, რომელზეც კეთილშობილ ლითონებზე ძებნა-ძიებითი სამუშაოები მიმდინარეობს. მათ ხელშეკრულება გააფორმეს საქართველოში არსებულ ერთერთ ფირმასთან და ჩვენთან, როგორც აკრედიტებულ და სანდო ლაბორატორიასთან. ამჯერად ამ საბადოდან აღებული ყველა სინჯის ანალიზს ჩვენი ინსტიტუტის ანალიტიკური და ტექნოლოგიური ლაბორატორია აკეთებს. ეს არ გახლავთ პატარა საქმე. 2009 წლის ბოლოს, როცა ინვესტორთა ამ ჯგუფმა ირანის საბადოზე პირველი სინჯები შეაგროვა, ისინი ანალიზისთვის გაგზავნეს კანადის სერტიფიცირებულ ლაბორატორიაში. პარალელურად საკონტროლო სინჯები გადმოაგზავნეს ჩვენთანაც. 4 თვის მანძილზე გზავნიდნენ ისინი სინჯებს კანადაშიც და აქაც. როცა დარწმუნდნენ, რომ ჩვენი ლაბორატორიის ანალიზი და დასკვნა უფრო ზუსტი იყო, ხელშეკრულება ჩვენთან გააფორმეს. უკვე 2 წელია უწყვეტად მიმდინარეობს ამ დაკვეთის შესრულება.

ჩვენი ცენტრის მიმართ უცხოელების ინტერესს ხელი შეუწყო იმანაც, რომ 2010 წლის ბოლოს ჰიუსტონში მსოფლიო ბიზნეს-კონფედერაციის ელიტარულ წევრად აგვირჩიეს ხმის უფლებით.

მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი, რომ მიმდინარე წელს ჩვენ მიერ რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში 18 საგრანტო პროექტი იყო წარდგენილი. სამწუხაროა, რომ მათგან არც ერთი არ დააფინანსეს, მაგრამ მაინც გვჯერა, რომ ამ პროექტების განხორციელება საყურადღებო და მნიშვნელოვანია.

ვმუშაობთ ასევე სხვა საერთაშორისო პროექტებსა და დაკვეთებზე, საიდანაც თანხები უნივერსიტეტის ბიუჯეტშიც შეგვაქვს“.

კლდეებში მიმალული მილიარდები

კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში თითქმის დასრულდა პროექტი, რომელიც მოიცავს საქართველოში არსებული ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვების აღწერას. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი 2009 წელს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა და წელს სრულდება, მასში რეალურად 15-წლიანი კოლოსალური მასშტაბის სამუშაოა ჩადებული.

ინსტიტუტის მეცნიერებმა პროექტზე — „საქართველოს ბუნებრივი ქვები“ — 1995 წელს დაიწყეს მუშაობა. მათ თითქმის ფეხდაფეხ მოიარეს მთელი საქართველო და აღწერეს სასარგებლო წიაღისეულის საბადოები. პირველ ეტაპზე მათ 85 ბუნებრივი ქვების საბადო აღწერეს. ამჟამად კი მას კიდევ 114 საბადო მიემატა. საბოლოო ჯამში, პროექტის დასრულების შედეგად, დაიდება მეცნიერულად დამუშავებული საცნობარო ნაშრომი, რომელშიც საქართველოში არსებული 300-მდე საბადო დეტალურად იქნება აღწერილი.

რევაზ კვატაშიძე: „თუკი საქართველომ წიაღისეული ნედლეულიდან რამე სახეობით შეიძლება იამაყოს, ეს ბუნებრივი მოსაპირკეთებელი ქვებია. ქართული მოსაპირკეთებელი ქვების ფაქტურა ძალიან კარგია და ტექნოლოგიურად ყველანაირ პარამეტრს აკმაყოფილებს, მაგრამ თავის დროზე (კომუნისტების მმართველობას ვგულისხმობ) მისმა არასწორმა ექსპლუატაციამ ამ საბადოებს საშინელი დაღი დაასვა.

არ ვიცი მაშინ არსებობდა თუ არა ამ ტიპის წიაღისეულის მოპოვების სწორი ტექნოლოგია — როგორ უნდა გაგეხსნა კარიერი და როგორ მიგეღო შენთვის სასურველი ნედლეული, მაგრამ ვიცი, რომ მას ძირითადად აფეთქებების მეშვეობით მოიპოვებდნენ. ეს ხერხი ძალიან ცუდ შედეგს იძლეოდა. აფეთქება ტოვებდა ბზარებს და თუ ერთი კუბამეტრი ლოდიდან გარკვეული რაოდენობის მოსაპირკეთებლად ვარგისი ფილა უნდა ამოგეღო, რეალურად ამ რაოდენობას ვერ იღებდი, რადგანაც დანაკარგი ძალიან დიდი იყო. გარდა ამისა, ეს ხერხი აზიანებდა თავად კარიერსაც, რადგან ბზარები მის სიღრმეშიც რჩებოდა. ამგვარი დაუდევრობის შედეგად საქართველოში ძალიან ბევრი საბადოა გაფუჭებული. მაგალითად, სალიეთის არაჩვეულებრივი წითელი მარმარილოს საბადო, ლოპოტას მარმარილოს საბადო და სხვები.

ამ პროექტით, რომელიც ჩვენს ინსტიტუტში თითქმის დასრულდა, მიმდინარეობდა საბადოების პასპორტიზაცია. წიგნში, რომელიც სამ ნაწილად გამოვა, შესული იქნება საქართველოში არსებული ყველა ასეთი საბადოს პასპორტი, რომელშიც ნაჩვენები იქნება მისი მდებარეობა, წიაღისეულის ქიმიური ანალიზი, მისი ფიზიკო-მექანიკური პარამეტრები, სამთო მასიდან ბლოკის ამოსავალი, ბლოკიდან მოსაპირკეთებელი ფილის გამოსავალი, ფაქტურა და ა.შ. დიდი იმედი მაქვს, რომ პროექტის დასრულებისთანავე შევძლებთ მის პრეზენტაციას, რათა უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებულ ადამიანს გავაცნოთ, რა სირთულის და მასშტაბის სამუშაოები შესრულდა“.

ინსტიტუტის მყარი წიაღისეულის განყოფილებაში ჩვენ საკუთარი თვალით ვნახეთ თითქმის ყველა საბადოდან აღებული მოსაპირკეთებელი ქვების ნიმუშები და გავეცანით სამუშაოებს, რომელიც მართლაც დიდ ენერგიასა და ძალისხმევას მოითხოვს.

პროექტში ჩართული იყვნენ გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორები: ვაჟა გელეიშვილი (მყარი წიაღისეულის განყოფილების გამგე, პროექტის ხელმძღვანელი), ოთარ მაჭავარიანი და ნოდარ რჩეულიშვილი. მათთან ერთად პროექტში ჩართული იყო კიდევ 6 დამხმარე თანამშრომელი (მათ შორის 3 სტუდენტი).

ვაჟა გელეიშვილი: „პროექტი მომზადდა საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის შეფასება-გადაფასების პროგრამის ფარგლებში. იგი ითვალისწინებს საქართველოს მოსაპირკეთებელი ქვების შესახებ სრული ინფორმაციის შეკრებას, ამ ინფორმაციიდან მცირე საინვესტიციო პაკეტების მომზადებას და დაინტერესებული პირებისა და ორგანიზაციებისათვის მის მიწოდებას.

2005 წელს ჩვენ მოვახერხეთ წიგნის გამოშვება, რომელშიც 85 საბადოს მონაცემები შევიდა. მასში მოცემულ სრულ საინფორმაციო პაკეტს თან ახლავს ვიზუალური მასალა საბადოს მდებარეობის, მარაგის, ტექნიკური მონაცემების, ფიზიკური, მექანიკური და ქიმიური თვისებების აღწერით. ნაშრომში ჩადებულია ასევე რეკომენდაციები — როგორ შეიძლება მისი გამოყენება, ანუ სრული ინფორმაცია იმ საბადოებზე, რომელიც დღეისთვის საქართველოში არსებობს.

ცხადია, აქ საუბარი არაა საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე, სადაც გასაგები მიზეზების გამო ვერ შევედით, მაგრამ მონაცემები იქ არსებული საბადოების შესახებ გვაქვს. მაგალითად, აფხაზეთიდან 6 ობიექტი გვაქვს ნაჩვენები, მაგრამ მათი ფოტოები, რა თქმა უნდა, ვერ გვექნება.

ამ კუთხით მუშაობა კიდევ გაგრძელდება და საბოლოო ჯამში 300 საბადოს მონაცემებს მოვუყრით თავს. ამ საბადოების ქვების ღირებულება რამდენიმე მილიარდი დოლარია. ჩვენ მზად ვართ, კვლავ განვაგრძოთ ის რუტინული შრომა, რაც ამ საქმეს ახლავს თან, ოღონდ გვინდა, რომ ხელი არ შეგვეშალოს იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებაში, რასაც საველე ექსპედიციების უზრუნველყოფა ჰქვია“.

მომავლის პერსპექტივა

პროექტები, რომელიც ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში ხორციელდება, მომავალზეა გათვლილი და ყველა ევროპულ სტანდარტს აკმაყოფილებს.

ამ მონაცემების გადაცემა სახელმწიფო სტრუქტურებისთვის ხელსაყრელი და მომგებიანია, რადგანაც, გარდა იმისა, რომ საქართველოს სასარგებლო წიაღისეულით შესაძლოა ინვესტორები და სხვადასხვა კომპანიები დაინტერესდნენ, ვფიქრობთ, ისტორიულადაც მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ რა ბუნებრივ სიმდიდრეს ინახავს ჩვენი ქვეყანა.

ვაჟა ოკუჯავა თავის კაბინეტში „დაბრუნდა“

შურთხია ბეროშვილი

14 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იმ ოთახში, სადაც აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავა მრავალი წლის განმავლობაში სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა, მისი სახელობის აუდიტორია გაიხსნა. ღონისძიებას უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, პროფესორ-მასწავლებლები, ვაჟა ოკუჯავას კოლეგები და ახლობლები დაესწრნენ და მათ მეცნიერის დამსახურებაზე ისაუბრეს.

ალექსანდრე კვიტაშვილის თქმით, ვაჟა ოკუჯავას კაბინეტის გახსნა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ მომავალმა თაობამ უფრო კარგად გაიცნოს მისი მოღვაწეობა და ის დამსახურება, რაც მას უნივერსიტეტის წინაშე მიუძღვის.

კაბინეტის გახსნას დაესწრო მეცნიერის შვილი მიხეილ ოკუჯავაც, რომელმაც ვაჟა ოკუჯავას ღვაწლის დაფასებისა და გულისხმიერებისთვის მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს რამაზ ბოჭორიშვილს და ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის მიმართულების პროფესორს ნანა დორეულს. „კარგად მახსოვს, ამ შენობაში ფუნქციონირებდა ლაბორატორია, რომელსაც მამა ხელმძღვანელობდა. ეს ოთახი კი მისი კაბინეტი იყო. სასიამოვნოა, რომ მის სახელს კიდევ დიდხანს გაიხსენებენ უნივერსიტეტში. ის სტუდენტები, რომლებიც ლექციებს აქ მოისმენენ, ალბათ დაინტერესდებიან, თუ ვინ იყო ვაჟა ოკუჯავა, რას საქმიანობდა და ა.შ. ამიტომ ამ მხრივაც მნიშვნელოვანია მისი სახელობის კაბინეტის გახსნა“, — განაცხადა მიხეილ ოკუჯავამ.

ფაკულტეტის დეკანმა რამაზ ბოჭორიშვილმა და მიმართულების ხელმძღვანელმა ნანა დორეულმა დამსწრე საზოგადოებას აღუთქვეს, რომ უახლოეს მომავალში ვაჟა ოკუჯავას კაბინეტი შეივსება ვიზუალური მასალით, რაც სტუდენტებს მეცნიერის შრომების გაცნობის საშუალებას მისცემთ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე ვაჟა ოკუჯავა უნივერსიტეტში 1967 წლიდან აკადემიკოს ივანე ბერიტაშვილის მოწვევით მუშაობდა. სწორედ აქ ჩამოაყალიბა მან თავისი ლაბორატორია და მრავალი მოსწავლე აღზარდა. მისი ფუნდამენტური ნაშრომები მოიცავს მეცნიერების ისეთ სფეროებს, როგორიც არის ნევროლოგიურ დარღვევათა მოდელირება და მათი ნეიროფიზიოლოგიური მექანიზმების კვლევა, ეპილეფსიის ნეიროფიზიოლოგიური საფუძვლების შესწავლა, ნევროლოგიური ელექტრო-დიაგნოსტიკის (კლინიკური ელექტროენცეფალოგრაფიის, გამოწვეული პოტენციალების) მეთოდების დახვეწა-განვითარება და სხვა. მის მიერ გამოქვეყნებულმა 200-ზე მეტმა სამეცნიერო ნაშრომმა, რომელთა რიცხვში 5 მონოგრაფიული ხასიათისაა, ღრმა კვალი დაამჩნია თანამედროვე ნეირომედიცინის განვითარების ტენდენციებს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო სამეცნიერო წრეებში აღიარებული მკვლევარი 1980 წელს თსუ-ის რექტორად დაინიშნა. სწორედ მის სახელს უკავშირდება უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მნიშვნელოვანი გაფართოება, ბევრი ახალი ლაბორატორიის შექმნა და ამუშავება. აკადემიკოსი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად 1985 წლამდე მუშაობდა. ბოლო წლებში კი იგი უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ.

ქ რ ო ნ ი კ ა

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტი თსუ-ში

გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ინტეგრაციას ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, — განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიდო ვესტერველემ 15 მარტს თსუ-ში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 600-ზე მეტი სტუდენტი ესწრებოდა. თსუ-ში ვესტერველემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები ევროპასთან“.

გიდო ვესტერველემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ გერმანია იყო პირველი სახელმწიფო, ვინც დამოუკიდებელ საქართველოში საელჩო გახსნა. მან ისაუბრა საქართველოსა და გერმანიის დიპლომატიური ურთიერთობების 20-წლიან ისტორიაზე და აღნიშნა, რომ ამ დროისთვის გერმანიაში 2500 ქართველი სტუდენტი სწავლობს. მისივე თქმით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკება უკვე დაიწყო. ასევე, უახლოეს ხანში მოგვარდება თავისუფალი მიმოსვლის რეჟიმიც.

„2004 წლიდან საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია და ბევრი წარმატებული ცვლილება განახორციელა. ქვეყნის დემოკრატიული განვითარება დამოკიდებულია პროგრესული დემოკრატიული ინსტიტუტების ეფექტურ მუშაობაზე. ქვეყნის განვითარებისთვის ასევე აუცილებელია კრიტიკული აზრის არსებობა და მედიის თავისუფლება“, — განაცხადა ვესტერველემ.

მან მოხსენებაში ავღანეთის სამშვიდობო მისიაში საქართველოს მონაწილეობის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო ნატო-ს არაწევრ ქვეყნებს შორის ერთერთია, ვისაც ავღანეთში დიდი რაოდენობის სამხედრო კონტინგენტი ჰყავს წარმოდგენილი. „ბუქარესტში ნატო-მ გადაწყვეტილება მიიღო, რომ საქართველო მისი წევრი გახდება. ჩიკაგოს სამიტზე, რომელიც მაისში გაიმართება, ჩვენ ამ საკითხზე ტრიბუნიდან ვისაუბრებთ. გერმანია მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ურთიერთობა ისეთ ქვეყნებთანაც, ვისაც განსხვავებული პოზიცია აქვს, მათ შორის რუსეთთანაც“, — განაცხადა ვესტერველემ.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საჭიროა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება. მან დადებითად შეაფასა ქართული მხარის გადაწყვეტილება რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმებასთან დაკავშირებით.

„ომის შედეგები ყველას გვახსოვს. კონფლიქტი კვლავ კონფლიქტად რჩება. ვფიქრობ, რომ საქართველოს მთავრობას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ბარიერების არარსებობა კონფლიქტის მოგვარებაში დაეხმარება“, — განაცხადა ვესტერველემ და ამავე კონტექსტში აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ყარაბაღთან დაკავშირებული კონფლიქტი გაიხსენა. „გერმანია და ევროკავშირი ყურადღებით აკვირდება კავკასიას და მხარს უჭერს დემოკრატიულ, მშვიდობიან საქართველოსა და მთლიანად კავკასიას“, — განაცხადა ვესტერველემ.

მოხსენების დასრულების შემდეგ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა უპასუხა სტუდენტების შეკითხვებს, რომლებიც, ძირითადად, საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივას შეეხებოდა.

„შეხვედრა საინტერესო გახლდათ. ახალგაზრდებმა განიხილეს ყველა ის საკითხი, რომელიც ორი ქვეყნის ურთიერთთანამშრომლობის ფორმატში აინტერესებდათ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხშირად მასპინძლობს ასეთი დონის პოლიტიკურ მოღვაწეებს და იმედი მაქვს, რომ ქართველი ახალგაზრდების პოზიცია და შეხედულებები კიდევ ბევრი უცხოელი დიპლომატის ინტერესის საგანი გახდება“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

ყირგიზეთი განათლების ქართული რეფორმით დაინტერესდა

ყირგიზეთი საქართველოში განხორციელებული განათლების რეფორმით დაინტერესდა.

12 მარტს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ყირგიზეთის რესპუბლიკის განათლების მინისტრი კანატ სადიკოვი ეწვია. იგი თსუ-ის რექტორს ალექსანდრე კვიტაშვილს შეხვდა, რომელმაც სტუმარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამები, სიახლეები, განხორციელებული და განსახორციელებელი პროექტები გააცნო. კანატ სადიკოვი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის „უცხოელი პროფესორები თსუ-ში“ პრეზენტაციასაც დაესწრო.

„ჩვენ გვაინტერესებს ყველაფერი — პროგრამების რაოდენობა, აკრედიტაციის ევროსტანდარტების შესაბამისი სისტემა, სწავლების ტექნოლოგია, სტუდენტური ცხოვრება. ასევე გვაინტერესებს კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტებთან მიერთების ტენდენცია“, — განაცხადა ყირგიზეთის რესპუბლიკის განათლების მინისტრმა.

კანატ სადიკოვი თბილისს ყირგიზეთის ოფიციალურ დელეგაციასთან ერთად ესტუმრა, რომლის მიზანიც ჯანდაცვის, განათლების, სოციალური დაცვისა და საპენსიო პოლიტიკის სფეროებში ქართული გამოცდილების შესწავლა გახლდათ.

ლაიდენის უნივერსიტეტში ქართული ენის, კულტურისა და საზოგადოების კათედრა გაიხსნა

23 მარტს ლაიდენის უნივერსიტეტში (ნიდერლანდები) ქართული ენის, კულტურისა და საზოგადოების კათედრა გაიხსნა.

კათედრის გახსნას ლაიდენის უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორები, საქართველოს პირველი ლედი სანდრა ე. რულოვსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ლაიდენში ქართული დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი 24 მარტამდე გაგრძელდა. ქართული დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, თსუ-ის საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელი თეა გერგედავა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორები: რევაზ გაჩეჩილაძე და რამაზ ქურდაძე.

„დაახლოებით წელიწადნახევრის წინ, თსუ-ის დელეგაცია, რექტორის –ალექსანდრე კვიტაშვილის ხელმძღვანელობით, სამუშაო ვიზიტით ესტუმრა თსუ-ის პარტნიორ უნივერსიტეტებს და ორგანიზაციებს ევროპაში (გერმანია, ნიდერლანდების სამეფო, უნგრეთი). ვიზიტის მიზანი საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავება და სამომავლო ერთობლივი პროექტების დაგეგმვა იყო. ლაიდენის უნივერსიტეტი მაშინ თსუ-ის პარტნიორი უნივერსიტეტი არ ყოფილა. შეხვედრების დროს, როდესაც თანამშრომლობის პერსპექტივებს განვიხილავდით, გაჩნდა იდეა, რომ ნიდერლანდების უნივერსიტეტში ქართული ენის, კულტურისა და საზოგადოების კათედრა გახსნილიყო, რომელიც ქართულ ენასა და კულტურას გაუწევდა პოპულარიზაციას“, — აღნიშნა თსუ-ის საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თეა გერგედავამ.

ქართული ენის, კულტურისა და საზოგადოების კათედრა ვიზიტორი პროფესორების კათედრაა, რაც იმას გულისხმობს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლაიდენის უნივერსიტეტში პერიოდულად გააგზავნის პროფესორს, რომელიც ამ კათედრას უხელმძღვანელებს. კათედრის საბჭოს გადაწყვეტილებით, ყოველ სასწავლო სემესტრში ერთი ქართველი პროფესორი გაემგზავრება ლაიდენის უნივერსიტეტში, სადაც 10-12 კვირას გაატარებს და წაიკითხავს სასწავლო კურსს დაინტერესებული მსმენელისათვის.

ლაიდენის უნივერსიტეტში ქართული ლინგვისტიკის, კულტურის, რელიგიის, ისტორიის, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროებში ლექციებს თსუ-ის პროფესორებთან ერთად სხვა ქართველი მეცნიერებიც წაიკითხავენ. გარდა ამისა, ისინი ქართულ კულტურასაც გაუწევენ პოპულარიზაციას. პირველი ასეთი პროფესორი, რომელიც თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა ლაიდენის უნივერსიტეტში წარადგინა, გახლავთ თსუ-ის პროფესორი რამაზ ქურდაძე.

ლაიდენის უნივერსიტეტი ევროპაში ერთერთი უძველესი უნივერსიტეტია, რომელიც, დაახლოებით, 500 წლისაა. ამ უნივერსიტეტში კავკასიურ ენებს უკვე დიდი ხანია იკვლევენ. აქ მოღვაწეობენ პროფესორები, რომლებსაც ქართული ენის კვლევის მიზნით საველე სამუშაოები აქვთ ჩატარებული საქართველოს სხვადასხვა რაიონში. ისინი, აგრეთვე, იკვლევდნენ სვანურ და მეგრულ დიალექტს. ლაიდენის უნივერსიტეტსაც ჰყავს აკადემიური პერსონალი, რომელიც ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს.

განათლების საერთაშორისო გამოფენა — 2012

23 თებერვალს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, თბილისის მერიისა და საგამოფენო ცენტრ „ექსპო-ჯორჯიას“ ორგანიზებით გაიხსნა „განათლების საერთაშორისო გამოფენა — 2012“, რომელიც 26 თებერვლამდე გაგრძელდა. მასში საქართველოს სხვადასხვა უმაღლესმა სასწავლებელმა, მათ შორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმაც მიიღო მონაწილეობა.

გამოფენა გახსნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა, რომელმაც ღონისძიების მნიშვნელობაზე ისაუბრა. „გამოფენის მიზანია, აბიტურიენტებმა ამომწურავი ინფორმაცია მიიღონ სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის თავისებურებებსა და პროგრამების შესახებ, რათა გაუადვილდეთ არჩევანის გაკეთება“, — აღნიშნა დიმიტრი შაშკინმა.

საგამოფენო ცენტრში საქართველოს 81 საგანმანათლებლო დაწესებულებისა და 13 უცხოური უნივერსიტეტის, კოლეჯისა და უმაღლესი სკოლის საგამოფენო სტენდი იყო წარმოდგენილი. სასწავლებლების წარმომადგენლებმა თავიანთი პროგრამები ფართო საზოგადოებას გააცნეს.

გამოფენის ფარგლებში მოეწყო პრეზენტაციები და „ღია კარის დღე“. მასში მონაწილეობდნენ საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციებიც, რომელთა ძირითად მიზანს საგანმანათლებლო სექტორის განვითარება და ხელშეწყობა წარმოადგენს. გამოფენაზე ყველა დაინტერესებულ სტუმარს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა სასწავლებლების ისტორიასა და სიახლეებს, მიეღო ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და სხვადასხვა პროექტების შესახებ, გასაუბრებოდა სასწავლებლების წარმომადგენლებს. აბიტურიენტები გაეცნენ საინფორმაციო ბუკლეტებს უნივერსიტეტების სასწავლო-სამეცნიერო პროგრამების შესახებ, აგრეთვე უნივერსიტეტების მიერ წარმოდგენილ სასწავლო ტექნიკურ აღჭურვილობას და სხვადასხვა მაკეტებს.

მე-9 გვერდზე

ქ რ ო ნ ი კ ა

მერვე გვერდიდან

წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი განათლების კვირეულისთვის საგანგებოდ მოემზადა და დამთვალიერებლების წინაშე ახალი კონცეფციით წარდგა. მნახველებმა ინტერესით დაათვალიერეს კონცეფციის მიხედვით შემუშავებული საგამოფენო სივრცე, სლოგანით — „იარე ჩვენთან ერთად“, სადაც უნივერსიტეტის ისტორია ფოტოგამოფენით, უნიკალური წიგნებისა და უძველესი არქეოლოგიური ნიმუშების ექსპოზიციით იყო წარმოდგენილი. სტენდზე ასახული იყო კავკასიაში პირველი ქართული უნივერსიტეტის წარსული, აწმყო და მომავალი. „აწმყოს“ პავილიონში ყველა მსურველს შეეძლო ამომწურავი ინფორმაციის მიღება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 6 ფაკულტეტის, უნივერსიტეტის გამომცემლობისა და ბიბლიოთეკის შესახებ, ხოლო „მომავალში“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა თანამედროვე ტექნოლოგიები.

გამოფენაზე მოსულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ ინტერაქტიულ თამაშში ჩართულიყვნენ და თსუ-ის წარმომადგენლებთან ერთად პირველი უნივერსიტეტის შენობა „აეშენებინათ“.

მნიშვნელოვანი იყო ასევე „ღია კარის დღე“, სადაც აბიტურიენტებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანების საშუალებით ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს თითოეული ფაკულტეტის შესახებ.

განათლების კვირეული 26 თებერვალს დასრულდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ორ ნომინაციაში გაიმარჯვა: „საუკეთესო საგამოფენო სტენდის დიზაინისთვის“ და „ყველაზე ფართო და აქტიური სტუდენტური ჩართულობისთვის გამოფენაში“ და სერტიფიკატები გადაეცა.

თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ეროვნული მუზეუმი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, საგანმანათლებლო, სამეცნიერო და სამუზეუმო სფეროების მიმართულებით თანამშრომლობას გეგმავენ. შეთანხმების თანახმად, უნივერსიტეტის სტუდენტები ეროვნულ მუზეუმში ანაზღაურებად სტაჟირებას გაივლიან. გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე უნივერსიტეტის ექსპედიციებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა ეროვნულ მუზეუმში გამოიფინება.

„დარწმუნებული ვარ, რომ თსუ-ისა და ეროვნული მუზეუმის ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო დაუახლოებს ჩვენს ინსტიტუციებს. მემორანდუმი, პირველ რიგში, ითვალისწინებს ახალი კადრების მომზადებას. ჩვენ გვექნება სპეციალური ანაზღაურებადი სტაჟირებები უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. ამ მემორანდუმის შედეგად გაადვილდება უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის სამუზეუმო კოლექციებთან ურთიერთობაც. ასევე, ვგეგმავთ ერთობლივი სადოქტორო პროგრამის განხორციელებას, რომელიც, იმედია, ძალიან მალე ამოქმედდება“, — აღნიშნა ეროვნული მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ.

თანამშრომლობის მემორანდუმი ერთობლივ სამეცნიერო-სასწავლო პროგრამებისა და პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს. დაგეგმილი პროექტები სტუდენტებსა და ახალგაზრდა მკვლევრებს საშუალებას მისცემს — სამეცნიერო-საგანმანათლებლო მიზნებისთვის აქტიურად გამოიყენონ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში არსებული მძლავრი მატერიალური და ინტელექტუალური ბაზა. მემორანდუმის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ეროვნულ მუზეუმში ანაზღაურებად სტაჟირებასაც გაივლიან. ყველაზე წარმატებულ სტუდენტებს კი ეროვნული მუზეუმი დაასაქმებს.

„დღეს მოხდა იმ ურთიერთობის ფორმალიზება, რაც უკვე დიდი ხანია არსებობს თსუ-სა და ეროვნულ მუზეუმს შორის. ამის შემდეგ ეს ურთიერთობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდება, მასში ჩაერთვებიან სტუდენტები და ჩვენი თანამშრომლებიც. სტაჟირების გარდა ჩვენ ვგეგმავთ სხვა ერთობლივ პროგრამებსაც, მაგალითად, გვინდა მოვაწყოთ ერთობლივი გამოფენა და ეროვნულ მუზეუმშიც წარმოვადგინოთ ის არქეოლოგიური მასალა, რომელიც უნივერსიტეტის მიერ არის მოპოვებული,” — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

თანამშრომლობის მემორანდუმი თსუ-სა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის 20 მარტს გაფორმდა.. ხელშეკრულებას ხელი თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ მოაწერეს.

პოლონეთი-საქართველო: პარტნიორობის 20 წელი

22 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობების 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართა კონფერენცია — „პოლონეთი-საქართველო: პარტნიორობის 20 წელი“.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო პოლონეთის ელჩმა საქართველოში ურსულა დოროშევსკამ, თსუ-ის რექტორის მოადგილემ ავთანდილ ჩუთლაშვილმა, პოლონეთის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ მიხალ შჩევბამ, საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარემ ვახტანგ ბალავაძემ, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პრეზიდენტმა ალექსანდრე რონდელმა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და, ასევე, აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა და სტუდენტებმა.

კონფერენცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის კავკასიური კვლევის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა.

მომხსენებლებმა პოლონეთსა და საქართველოს შორის ურთიერთთანამშრომლობის სამომავლო გეგმებსა და არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებზე ისაუბრეს.

„პოლონეთი ერთერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც საქართველოსთან საუკეთესო ურთიერთობები დაამყარა, რაც უკვე 20 წელია გრძელდება. ბოლო პერიოდში თანამშრომლობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდა. თსუ-ში ისწავლება პოლონეთის ისტორია, ენა და კულტურა. სულ უფრო მეტი სტუდენტი მიდის საქართველოდან პოლონეთში სასწავლებლად, რაც მეტად აახლოებს ჩვენ ქვეყნებს”, — განაცხადა პოლონეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ურსულა დოროშევსკამ.

როგორც თსუ-ის რექტორის მოადგილემ ავთანდილ ჩუთლაშვილმა აღნიშნა, „პოლონეთი არის საქართველოს ერთერთი სერიოზული და სტრატეგიული პარტნიორი ევროპაში და ევროატლანტიკურ სივრცეში. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნების მეგობრობა. ქართულ-ევროპული ურთიერთობები მხოლოდ 20 წელს არ მოიცავს, იგი უფრო სიღრმისეულია. მომავალს რაც შეეხება, ეს ურთიერთობები კიდევ უფრო ინტენსიური ხდება.”

თსუ-ში სტუდენტური კონკურსები დაიწყო

თსუ-ში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სტუდენტური კონკურსების პრეზენტაცია გაიმართა. ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ — მონაწილეობა მიიღონ სამი სახის კონკურსში: „სტუდენტური ინოვაციების კონკურსი“, „სტუდენტური ნაშრომების კონკურსი“ და საერთაშორისო კონკურსი — „Microsoft Imagine Cup“.

პირველი ორი კონკურსის ინიციატორი თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტია. მათი მიზანია კრეატიული სტუდენტების წახალისება და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობა.

„მსგავსი კონკურსები ფაკულტეტზე პირველად ტარდება. ნაშრომების შესაფასებლად სპეციალური დარგობრივი კომისია შეიქმნება. სტუდენტური ნაშრომები ფაკულტეტის ვებ-გვერდზე დაიდება და ის საჯარო გახდება. ეს საშუალებას მისცემს სტუდენტებს საკუთარი ნაშრომები და შესაძლებლობები ფართო საზოგადოებას გააცნონ. სტუდენტები თსუ-სგან წამახალისებელ პრიზებსაც მიიღებენ“, — განაცხადა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, რამაზ ბოჭორიშვილმა.

ფაკულტეტის სტუდენტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონკურსში Microsoft Imagine Cup, რომელშიც საქართველო წელს პირველად ჩაერთო.

„Imagine Cup“ არის კორპორაცია მაიკროსოფტის მიერ ორგანიზებული ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო IT კონკურსი, რომელიც მიმართულია ტექნოლოგიური გადაწყვეტის გზით, ურთულესი გლობალური პრობლემების მოგვარებაზე. მხოლოდ 2011 წელს მასში მონაწილეობა მიიღო 100-ზე მეტი ქვეყნის 325 000 სტუდენტმა“, — აცხადებენ უნივერსიტეტში.

საერთაშორისო კონკურსის პირველი, რეგიონალური ეტაპი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდება. გამოვლინდება ერთი გამარჯვებული გუნდი, რომელიც 2012 წლის ივლისში, სიდნეიში მსოფლიო ფინალში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრება.

თსუ-ის რექტორმა, ალექსანდრე კვიტაშვილმა სტუდენტებს აქტიურობისკენ მოუწოდა. „ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი კონკურსი. სტუდენტური ნაშრომებით შეიძლება სხვადასხვა კომპანიები დაინტერესდნენ, რაც სტუდენტების მოტივაციას კიდევ უფრო გაზრდის“, — აღნიშნა ალექსანდრე კვიტაშვილმა სტუდენტური კონკურსების პრეზენტაციაზე.

თსუ-ის გენეტიკის ინსტიტუტის მეცნიერები დაბერების წინააღმდეგ

14-16 თებერვალს ქალაქ დუბაიში გაიმართა ბიოტექნოლოგთა პირველი მსოფლიო კონგრესი, რომელშიც 5 ნობელის პრემიის ლაურეატი და 59 ქვეყნის მეცნიერი მონაწილეობდა.

სამედიცინო ბიოტექნოლოგიასა და გენომიკაში 19 მომხსენებელს შორის 20-წუთიანი მოხსენების წასაკითხად მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეტიკის კათედრის გამგე, გენეტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი თეიმურაზ ლეჟავა.

წარდგენილ მოხსენებაში „პეპტიდური ბიორეგულატორების მოქმედებისას დაბერებული ჰეტეროქრომატინის რეაქტივაცია", ინსტიტუტის მეცნიერთა მიგნებულ 3 აღმოჩენას გაესვა ხაზი. მომხსენებელმა საინტერესო დასკვნა შესთავაზა კონგრესის მონაწილეებს. კერძოდ, აღინიშნა, რომ დაბერებული ორგანიზმის ქრომატინზე ბიორეგულატორების მოქმედება განაპირობებს ინაქტივირებულ გენთა აღდგენას, რაც ერთერთ მნიშვნელოვან მიგნებას წარმოადგენს დაბერების პათოლოგიების სამკურნალოდ და სიცოცხლის გახანგრძლივებისთვის.

მოხსენებამ მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა და ქართველ მეცნიერებთან თანამშრომლობის სურვილიც ბევრმა მათგანმა გამოთქვა. შედეგად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეტიკის ინსტიტუტი ამერიკელ კოლეგებთან ერთად ჩაერთვება ორ საგრანტო პროექტში: პირველ მათგანში შესწავლილი იქნება მუტაციური პროცესები მეტალების მოქმედებისას და მათი შედეგები მომდევნო თაობებში, ხოლო მეორე პროექტი მიეძღვნება დაბერების პათოლოგიათა (ალცჰაიმერის დაავადება) დროს გამოწვეულ გენოტიპის ცვლილებების შესწავლას.

გენეტიკის ინსტიტუტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთი წლის წინ შეიქმნა და უკვე ანგარიშგასაწევი სამეცნიერო ინსტიტუტია. კიდევ რა მიმართულებებით მუშაობენ ინსტიტუტის თანამშრომლები და რა შედეგები მოიტანა მათმა კოორდინაციამ ერთი ინსტიტუტის ფარგლებში, ამ საკითხებზე გვესაუბრება ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ის პროფესორი თეიმურაზ ლეჟავა.

მაია ტორაძე

— როგორც ცნობილია, ბიოტექნოლოგთა პირველ მსოფლიო კონგრესზე მნიშვნელოვანი სამეცნიერო მოხსენებები გაკეთდა. თქვენ რომელ მოხსენებას გამოარჩევდით?

— კონგრესზე წარმოდგენილი ბევრ საინტერესო მოხსენებიდან, ჩემი აზრით, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ნობელის პრემიის ლაურეატის ჰარალდ ჰაუსენის მოხსენების შედეგები. კერძოდ, მან თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ავთვისებიანი სიმსივნური ზრდის 21% გამოწვეულია ინფექციური აგენტების მოქმედებით (მათ შორის — 1% პარაზიტებით გამოწვეული ინფექციებით), 35% ბაქტერიული ინფექციების (მათ შორის მნიშვნელოვანია Helicobacter pylori) მოქმედებით, ხოლო 64% გამოწვეულია ვირუსებით (B და C ჰეპატიტები, ადამიანის პაპილომავირუსი, ადამიანის 8-ე ტიპის ჰერპეს ვირუსი, ებშტეინ-ბარის ვირუსი, მერკელის პოლიომავირუსი, ადამიანის T-ლიმფოტროფიკული რეტროვირუსი და არაპირდაპირი კარცენოგენული ადამიანის იმუნოდეფიციტური ვირუსი). მის მიერ შექმნილია ადამიანის პაპილომავირუსის ვაქცინა, რომელიც საკმაო წარმატებას აღწევს განკურნების თვალსაზრისით.

— სასიამოვნოა, რომ ასეთი დონის კონგრესზე წარმოდგენილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და, კერძოდ, გენეტიკის ინსტიტუტი, რომელიც სულ ერთი წელია დაარსდა. რა მიზნით შეიქმნა გენეტიკის ინსტიტუტი?

— ამ ინსტიტუტის შექმნა გენეტიკოსთა მრავალი თაობის ოცნება იყო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს სამეცნიერო ინსტიტუტებში წლების განმავლობაში ვითარდებოდა გენეტიკის სხვადასხვა მიმართულება: მიკროორგანიზმთა გენეტიკა, მცენარეთა გენეტიკა, ცხოველთა გენეტიკა, ადამიანის გენეტიკა და სამედიცინო გენეტიკა. ამიტომაც ამ მიმართულებების მეცნიერთა კოორდინირებული მუშაობა, ერთმანეთისთვის დარგის სიახლეების გაცნობა და იდეების თავმოყრა უცილებელი პირობა გახდა გენეტიკის ინსტიტუტის დაარსებისთვის.

ვფიქრობ, ჩვენი გენეტიკოსებისთვის და ამ დარგის მომავალი განვითარებისთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენაა. აქ უკვე ერთი წელია აქტიური მუშაობა მიმდინარეობს: სისტემატურად ვიკრიბებით ბიოლოგები და მედიკოსები, ვმსჯელობთ გენეტიკის საკითხების, სხვადასხვა დაავადების, დარგის სიახლეებისა და თანამედროვე სამეცნიერო ტენდენციების შესახებ. ასევე, ერთმანეთს ვუზიარებთ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე მიღებულ შთაბეჭდილებებსა და იქ გაჟღერებულ სიახლეებს.

საგულისხმოა, რომ სამეცნიერო კვლევები მიბმულია სასწავლო პროცესთან, რაც ქმნის ბაზას, რომ მეცნიერებაც განვითარდეს და სტუდენტებიც მოვიზიდოთ. ისინი ჩართულნი არიან კვლევებსა და ლაბორატორიულ საქმიანობაში.

— როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს გენეტიკის ინსტიტუტის ინტერესის სფეროები?

— გენეტიკა სწავლობს ცოცხალ ორგანიზმთა მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის კანონზომიერებებს, ეძიებს და პოულობს გზებს ამ კანონზომიერებათა პრაქტიკაში გამოსაყენებლად.

ამდენად, ჩვენი ინტერესის სფეროები მრავალმხრივია და მთლიანად მოიცავს გენეტიკის ყველა მიმართულებას, კერძოდ, ესენია: პოპულაციის ეკოლოგიურ-გენეტიკური კვლევები; გენეტიკური ტვირთის ცვალებადობის დინამიკის შეფასება საქართველოში ეკოლოგიური და ეპიდემიოლოგიური კვლევების საფუძველზე; დაავადებათა გენეტიკური დიფერენცირებული დიაგნოსტირება და მკურნალობის შესაბამისი ტაქტიკის განსაზღვრა; სამედიცინო და სამედიცინო-ბიოლოგიური პროფილის დაწესებულებათა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება გენეტიკაში და თანამედროვე მედიცინაში გამოყენებული გენეტიკური მეთოდებისა და აპარატურის დაუფლება; გენეტიკური მონიტორინგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე და მეცხოველეობაში.



ჩვენი ინტერესის სფეროა, ასევე, საერთაშორისო და ადგილობრივი ერთობლივი საგრანტო პროგრამების შემუშავება და ერთობლივ საგრანტო პროექტებში მონაწილეობა; გენეტიკის პოპულარიზაცია (საჯარო გასვლითი ლექციები სამედიცინო და ბიოსამედიცინო პროფილის დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში); დამხმარე სასწავლო-მეთოდური ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების შექმნა; უმაღლეს სასწავლებლებში გენეტიკის სასწავლო პროგრამების ყოველწლიური განახლება და კოორდინაცია; სიმპოზიუმებისა და კონფერენციების ორგანიზება.

— ამჟამად რა სამეცნიერო თემატიკაზე მუშაობთ?

— ჩვენი კვლევის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს დაბერების გენეტიკა. ამ განხრით გაგვაჩნია საკმაოდ მნიშვნელოვანი წარმატებები. კერძოდ, ამ თემას მიეძღვნა მონოგრაფია, რომელიც ამერიკაში დაიბეჭდა.

ასევე ვმუშაობთ ავთვისებიანი სიმსივნური ზრდის გენეტიკის მიმართულებით (ძუძუს კიბო) და გვაქვს გარკვეული წარმატებები: ჩვენი დაგეგმარება ჰარვარდში მოიწონეს და გვინდა საბოლოო მიზანს მივაღწიოთ. ვვარაუდობთ, რომ ჩვენი კვლევები ამ მაღალი სიხშირის დაავადების შეჩერებას გამოიწვევს.

დიდ ყურადღებას ვაქცევთ პათოლოგიათა გენეტიკის (ქრომოსომული დაავადებები) და პოპულაციათა გენეტიკის (ქართულ პოპულაციაში გენოტიპის) კვლევას, კარდიომიოპათიების (სისხლძარღვთა დაავადებების) გენეტიკას, რომლის თაობაზეც პროექტი უკვე გავგზავნეთ უკრაინის სამეცნიერო ფონდში და პირველი ეტაპი დადებითად გავიარეთ.

— გასულ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაბეჭდა სახელმძღვანელო — „სამედიცინო გენეტიკა მოლეკულური გენეტიკის საფუძვლებით", რომლის ერთერთი ავტორი თქვენ ბრძანდებით. არსებობს მოსაზრება, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ახალი სახელმძღვანელოების შექმნა საჭირო არაა, რადგანაც არსებობს უცხოური აპრობირებული სახელმძღვანელოები და სტუდენტებს მისი თარგმანი უნდა მიეწოდოს. რით განსხვავდება თქვენი სახელმძღვანელო უცხოენოვანი, მაგალითად, ტომსონის სახელმძღვანელოსგან „გენეტიკა მედიცინაში", რომლის ქართულ ენაზე თარგმანიც რამდენიმე ხნის წინ გამოიცა?

— ჩვენი სახელმძღვანელო — „სამედიცინო გენეტიკა მოლეკულური გენეტიკის საფუძვლებით" მომზადებულია მთელი ჩვენი კოლექტივის ძალისხმევით. ჩემი თანაავტორები არიან თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გენეტიკის კათედრის ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი თინათინ ჯოხაძე და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნათელა ჯანგულაშვილი.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია მრავალი ახალი მონაცემი. ბევრი მათგანი: ქცევის გენეტიკა, ქრომოსომული ველი, ქრომატინის კოდი და ქრომატინის კონდენსაციის კოდი, ქსოვილოვან კულტურებში გამოყენებული ტერმინების ლექსიკონი და სხვა, უმაღლესი სასწავლებლებისა და უნივერსიტეტების სამედიცინო გენეტიკის სახელმძღვანელოში არ განიხილება ან არასწორად არის გადმოცემული. მაგალითად, მეიოზი, გონადური დისგენეზია და სხვა, რომელთა ცოდნა აუცილებელია როგორც მედიკოსი, ასევე ბიოლოგი სტუდენტების პროფესიული სრულყოფისათვის.

ჩვენს სახელმძღვანელოში წარმოდგენილია უფრო ახალი გენეტიკური ინფორმაცია.

სახელმძღვანელოში ძირითად სასწავლო მასალას დართული აქვს საცნობარო ლიტერატურა: ყველა თავს ახლავს დასკვნები, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, საძიებო ინტერნეტში, სასწავლო მასალიდან გამომდინარე კითხვები, გენეტიკური ტერმინების განმარტება და ამოცანები. წიგნს ახლავს 3 ლექსიკონი (ქსოვილოვან კულტურებში გამოყენებული ტერმინების ლექსიკონი, სამედიცინო და გენეტიკური ტერმინების ლექსიკონი), რომელშიც ყველა ტერმინის განმარტებაა მოცემული.

ამდენად, მიმაჩნია, რომ უცხოელ ავტორთა მიერ შედგენილი სახელმძღვანელოების გვერდით სახელმძღვანელოები ჩვენთანაც უნდა გამოიცემოდეს და ყოველ გამოცემაში შედიოდეს სამეცნიერო სიახლეები. მიმაჩნია, რომ ჩვენი სახელმძღვანელო ასეთი სიახლეებით არის გაჯერებული.

მინდა, მადლობა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბატონ დავით ჩომახიძეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს, ქალბატონ ნინო დურგლიშვილს და თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობის ხელმძღვანელობას წიგნის გამოცემაში გაწეული დიდი მხარდაჭერისთვის. ვფიქრობ.

ამ სახელმძღვანელოთი ყველამ ერთად დიდი საქმე გავაკეთეთ.



ნობელის პრემიის ლაურეატი ჰარალდ ჰაუსენი და პროფესორი თეიმურაზ ლეჟავა დუბაიში

 თვითდამკვიდრებისთვის

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი უნივერსიტეტის „ქოლგის ქვეშ“

ისტორიული შტრიხები

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი საქართველოს ერთ-ერთი ძველი სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელიც სათავეს იღებს ჯერ კიდევ 1917 წელს თბილისში დაარსებული „კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი-დან“, რომლის დაარსება აკადემიკოს ნიკო მარის სახელთანაა დაკავშირებული. ინსტიტუტმა მრავალგზის შეიცვალა პროფილი, მაგრამ მისი ძირითადი ამოცანა იყო და არის კავკასიის მოსახლეობისა და ლინგვისტურად თუ კულტურულად მისი მონათესავე ხალხების ისტორიის, ენების, ყოფისა და სიძველეების შესწავლა; კავკასიის მცოდნეობასთან დაკავშირებული სამეცნიერო დისციპლინების განვითარებისთვის ხელშეწყობა; კავკასიის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლების დაცვა-აღნუსხვა და გაცნობა. ინსტიტუტში დაარსებისთანავე მიმდინარეობდა ისტორიული ხასიათის მასალის შეგროვება, ტარდებოდა უაღრესად მნიშვნელოვანი ექსპედიციები და მიმდინარეობდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა.

1931 წელს ინსტიტუტს ერქვა „კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტი“, ხოლო 1936 წელს, მორიგი რეორგანიზაციის შემდეგ, მან მიიღო „აკადემიკოს ნიკო მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის“ (ენიმკი) სახელწოდება. აქ მოღვაწეობდნენ დიდი ქართველი მეცნიერები: ექვთიმე თაყაიშვილი, სიმონ ჯანაშია, გიორგი ახვლედიანი, ნიკო ბერძენიშვილი, აკაკი შანიძე, ვარლამ თოფურია, არნოლდ ჩიქობავა, ვუკოლ ბერიძე, გიორგი ჩიტაია, გიორგი ნიორაძე, გრიგოლ წერეთელი, სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, დიმიტრი უზნაძე, ილია აბულაძე და სხვა. ენიმკის დაარსებიდანვე ივანე ჯავახიშვილი მუდმივ კონსულტანტად იყო მოწვეული. ენიმკი აერთიანებდა ქართველურ ენათა, კავკასიურ ენათა, ლექსიკოლოგიისა და სამეცნიერო ტერმინოლოგიის, მახლობელი აღმოსავლეთის ენათა, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ანთროპოლოგიის, ისტორიის, ფილოლოგიის, ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებებს და ფონეტიკისა და ნიკო მარის კაბინეტებს.

1941 წლის 8 მაისს ენიმკი გაიყო და მის ბაზაზე შეიქმნა ორი ინსტიტუტი: „ისტორიის ინსტიტუტი“ და „აკადემიკოს ნიკო მარის სახელობის ენის (შემდგომში ენათმეცნიერების) ინსტიტუტი“. ეს იყო ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ისტორიაში ახალი ეტაპი. იმდროინდელი, ახლად შექმნილი ისტორიის ინსტიტუტი გახდა საქართველოს ისტორიის, ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის შემსწავლელი ძირითადი ცენტრი. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული სამუშაოების გაფართოების გამო 1964 წელს ისტორიის ინსტიტუტს ეწოდა „ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი“, ხოლო 1977 წელს ინსტიტუტს გამოეყო და ცალკე სამეცნიერო კერად ჩამოყალიბდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. 2006 წლამდე ინსტიტუტი იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემის ინსტიტუტი, ხოლო 2006 წლიდან ინსტიტუტი გახდა — „საჯარო სამართის იურიდიული პირი ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი“.

ისტორიის ინსტიტუტს სხვადასხვა დროს სათავეში ედგნენ დირექტორები: სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი მელიქიშვილი, დავით მუსხელიშვილი. 2006 წლიდან კი მას პროფესორი ვაჟა კიკნაძე ხელმძღვანელობს, რომელიც ინსტიტუტში 1976 წლიდან მუშაობს და რომელმაც ყველა სამეცნიერო საფეხური აქ გაიარა.

ინსტიტუტის სიმდიდრე

ვაჟა კიკნაძე ინსტიტუტის მნიშვნელობასა და მის საქმიანობაზე სიამაყით საუბრობს და არც თუ ისე უსაფუძვლოდ: მისი ინფორმაციით, ინსტიტუტის კვლევებში წმყვანი ადგილი უჭირავს აფხაზეთისა და შიდა ქართლის მთიანი ნაწილის ე.წ. სამხრეთ ოსეთის ისტორიის, ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის კვლევას უძველესი დროიდან დღემდე. ინსტიტუტი აქტიურად ეხმაურება საქართველოს ისტორიის ყველა პრობლემას; თანამშრომლობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან, რომელთანაც ერთობლივად გამოიცა „მეომრის ბიბლიოთეკის“ 25 პოპულარული ნარკვევი. მათში განხილულია გამორჩეული პიროვნებების ღვაწლი და სხვადასხვა ისტორიული მოვლენა; გამოიცა აგრეთვე საბრძოლო მოქმედებათა რუკების ატლასი.

ვაჟა კიკნაძე

2006 წლიდან ინსტიტუტში გამოდის ყოველწლიური სამეცნიერო კრებული „ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები“, ასევე, განყოფილებების პერიოდული გამოცემები: „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“, „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი“, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, „ეთნოლოგიური კრებული“.

2006 წლიდან სხვადასხვა ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში დაიბეჭდა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა 1000-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

ასევე, ინსტიტუტში ტარდება ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები და სხვა სამეცნიერო ღონისძიებები (სემინარები, პრეზენტაციები და ა.შ.).

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებს აქვთ აქტიური კონტაქტები საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან: შვედეთი — უპსალას უნივერსიტეტი, პოლონეთი — ვარშავისა და პოზნანის ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტები, იაპონია — ტოჰოკუს უნივერსიტეტი, თურქეთი — მალთეპეს უნივერსიტეტი, აშშ — დასავლეთ მიჩიგანის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი — კემბრიჯის უნივერსიტეტი და სხვა.

ცალკე აღსანიშნავია ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია საქართველოს ერთერთი უმნიშვნელოვანესი სიძველეთსაცავი. აქ ინახება უნიკალური წიგნადი ფონდი, რომლის ბაზაზე მოგვიანებით შეიქმნა არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის, ასევე, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდები.

ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში დაცული უნიკალური წიგნები საბჭოთა პერიოდში, საცავების არარსებობის გამო, სავალალო პირობებში ინახებოდა. 2006 წლიდან ფართომასშტაბიანი სამუშაოების შედეგად მთლიანად შეიცვალა ინსტიტუტის საბიბლიოთეკო ფონდების მდგომარეობა. კოლოსალური სამუშაოები ჩატარდა წიგნების მოსაწესრიგებლად და გადასარჩენად. ინსტიტუტის შენობაში გაკეთდა საცავი, რომელიც აღიჭურვა ახალი, თანამედროვე ტიპის სტელაჟებით.

დღესდღეობით ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში წარმომავლობით-შინაარსობრივი (თემატური) თუ ფორმატული პრინციპით სხვადასხვა წიგნადი ფონდებია შექმნილი.

ამჟამად ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ძირითადი ფონდებია: ქართულენოვანი, რუსულენოვანი და სომხურენოვანი ფონდები, ასევე ევროპულ გამოცემათა და რარიტეტულ ერთეულთა ფონდი. ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დაცულა 1900 წლამდე და შემდგომ პერიოდში გამოცემული ერთეულები. განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველნაბეჭდი ქართული გამოცემები, ე.წ. ბაქარის ბიბლია, სამეფო ოჯახის (ბაგრატიონთა) კუთვნილი ლიტერატურა (ბერძნულენოვანი გამოცემა, იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის შესახებ): საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ II-ის მიერ ისტორიის ინსტიტუტისთვის მიერ ნაჩუქარი ოთხთავი, ატლასების და რუკების ფონდი, ენციკლოპედიებისა და ლექსიკონების ფონდი, მინიატურულ წიგნთა ფონდი.

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მეცნიერ-მკვლევარს საშუალება აქვს სპეციალური საბაზო პროგრამების საშუალებით მოიძიოს მისთვის საინტერესო ლიტერატურა.

ვაჟა კიკნაძის ინფორმაციით, 2006 წელს ინსტიტუტში გატარებული რეფორმის შედეგად შეიქმნა ეთნოლოგიურ-ისტორიული არქივი, სადაც თავი მოიყარა ინსტიტუტის განყოფილებებში არსებულმა მასალებმა. საარქივო ფონდებში თავმოყრილია ინსტიტუტის თანამშრომელთა პირადი არქივები. მათ მიერ მოძიებული მასალების, ჩანაწერებისა და გამოკვლევების გარეშე თითქმის შეუძლებელია ეთნოგრაფიული ყოფისა და კულტურის საფუძვლიანი შესწავლა.

გრაფიკული მასალის (ანაზომები, ჩანახატები და ა.შ.) ფონდი კი წარმოგვიდგენს საქართველოსა და კავკასიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს, როგორც რელიგიური, ასევე, თავდაცვითი, საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებს. აღნიშნული მასალა უნიკალურია, ვინაიდან ისინი გასული საუკუნის 30-80-იან წლებში, თანაც ცნობილი არქიტექტორებისა და მხატვრების მიერ არის შესრულებული.

ინსტიტუტში დაცულია ასევე ექსპედიციების საარქივო ფონდები. ნიშანდობლივია, რომ სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობამ სისტემატიური ხასიათი გასულის საუკუნის 40-იანი წლებიდან მიიღო. მათი მიზანი გახლდათ შეესწავლათ კონკრეტული რეგიონის ყოფა-ცხოვრება და სულიერი კულტურა. ამდენად, ინსტიტუტში დაცული მასალები თითქმის ერთი საუკუნის წინანდელ რეალობას ასახავს.

ბატონი ვაჟა კიკნაძე სიამოვნებით გვაცნობს მუსიკალურ ფონდს, რომელიც მოიცავს ცვილის ლილვაკების კოლექციასა და მაგნიტოფირებზე არსებულ ჩანაწერებს. ლილვაკების კოლექცია საქართველოში დაცულ კოლექციათა შორის ყველაზე მოცულობითი და მრავალფეროვანია. ეს მასალა უმნიშვნელოვანესია ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისთვის. აღნიშნული ფონდი მოიცავს ექსპედიციების დროს სერგი ჟღენტის, შალვა ასლანიშვილის, თამარ მამალაძისა და უცნობი ჩამწერის მიერ 1920-50-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩაწერილ სიმღერებს.

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკის წიგნთსაცავი

არანაკლებ მნიშვნელოვანია მაგნიტოფირებზე არსებული ჩანაწერები, რომლებზეც საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხური შემოქმედების ნიმუშებია ჩაწერილი. ამ კოლექციის ნაწილი, ინსტიტუტის სახსრებით, უკვე გადატანილია ციფრულ მატარებლებზე.

საყურადღებოა ამ ფონდის ტექსტური ნაწილიც. ჩანაწერებში დაცულია ექსპედიციების დროს შეკრებილი სიმღერების ტექსტები, ნოტები, გამოკვლევები ქართული მუსიკისა და საკრავების შესახებ. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დიმიტრი არაყიშვილის, თამარ მამალაძის, ივანე შილაკაძის მასალები.

აღსანიშნავია, აგრეთვე, ბოლო დროს მიკვლეული დიდი ქართველი კომპოზიტორისა და ლოტბარის ნიკო სულხანიშვილის დღემდე უცნობი სანოტო ჩანაწერები.

ინსტიტუტის მოლოდინები

ასეთი მდიდარი ისტორიის ინსტიტუტი ამჟამად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემოუერთდა. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და თანამშრომლები დადებითად შეხვდნენ ამ ფაქტს და იმედს გამოთქვამენ, რომ მათი ერთობლივი თანამშრომლობა უფრო ნაყოფიერი და სასარგებლო იქნება.

„აღსანიშნავია, რომ 1918 წელს, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაიხსნა, კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი ამ უდიდეს მოვლენას შემდეგი შინაარსის წერილით გამოეხმაურა: „...კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო კოლეგია მიესალმება ქართული უნივერსიტეტის დაარსებას... ქართული უნივერსიტეტი მოწოდებულია არა მარტო ხელი შეუწყოს ერს, ეზიაროს საყოველთაო კულტურულ ფასეულობებს, არამედ ხელი შეუწყოს თვით ცხოვრების შენებას. ითვალისწინებს რა ქართული უნივერსიტეტის ასეთ მაღალ და ამავე დროს მძიმე ამოცანებს, კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტი მხურვალედ ულოცავს მას პროფესორთა საბჭოს სახით და ღრმადაა დარწმუნებული უნივერსიტეტის ბრწყინვალე განვითარებაში...“. თბილისის უნივერსიტეტთან ინსტიტუტის მჭიდრო კავშირის დამყარებას ხელს უწყობდა ამ ორი დაწესებულების მეცნიერული მიზნების ერთიანობა. აღსანიშნავია, რომ ინსტიტუტის ორივე ნამდვილი წევრი – ექვთიმე თაყაიშვილი და გიორგი ჩუბინაშვილი – უნივერსიტეტის პროფესორებად იყვნენ არჩეული, ხოლო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე – ექვთიმე თაყაიშვილი თბილისის უნივერსიტეტის ერთერთი დამაარსებელთაგანი და არქეოლოგიის კათედრის პირველი გამგე იყო.

დღეს ჩვენ კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ ეს არის თანამშრომლობის ევროპული მოდელი, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების ერთობლივ მუშაობას, რაც გამართლებულია. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მოგვეცემა საშუალება სამეცნიერო-კვლევითი პროფილი შევინარჩუნოთ და გავაგრძელოთ მუშაობა. ინსტიტუტს, გარკვეულწილად, ავტონომიურობა შენარჩუნებული აქვს და მოველით, რომ უნივერსიტეტის „ქოლგის ქვეშ“ უფრო მეტი შესაძლებლობები გადაიშლება, თუნდაც უცხოეთთან ურთიერთობის თუ სხვა პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით“, — აღნიშნა ვაჟა კიკნაძემ.

მოამზადა
შურთხია ბერეშვილმა

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲘ

ᲮᲝᲕᲚᲔᲚᲗᲐ ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲐ ᲗᲡᲣ-ᲨᲘ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა თსუ-ის რექტორთან ალექსანდრე კვიტაშვილთან ერთად, კასპის რაიონის სოფელ ხოვლეში შენობის საძირკველში კაფსულის ჩაშვებით, კიდევ ერთი ახალი სკოლის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი. სწორედ ამ შეხვედრის დროს გაჩნდა იდეა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ხოვლეს საჯარო სკოლის მოსწავლეებს ექსკურსია მოეწყოთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ექსკურსიის ორგანიზება და ხარჯები თსუ-ის ადმინისტრაციამ უზრუნველყო. და აი, 20 მარტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია პედაგოგთა და მოსწავლეთა 25 კაციანი ჯგუფი სოფელ ხოვლედან.

თსუ-ში მოსწავლეებს მეგზურობა გაუწიეს თსუ-ის რექტორის მრჩეველმა და თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის" კოორდინატორმა მარინე ლომოურმა და თსუ-ის მუზეუმის უფროსმა სპეციალისტმა სანდრო მარუაშვილმა. მოსწავლეები დიდი ინტერესით გაეცვნენ თსუ-ის მუზეუმსა და პანთეონს, დაათვალიერეს ახლად გარემონტებული I კორპუსი, პეტრე მელიქიშვილის კაბინეტი II კორპუსში, ფიზიკის დიდი აუდიტორია და თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის" ფიზიკის ლაბორატორია. ისინი უნიკალური ექსპონატებით მდიდარ თსუ-ის ზოოლოგიურ მუზეუმსაც ეწვივნენ.

„გვინდა, ასეთი სახის ექსკურსიებს სისტემატიური ხასიათი მივცეთ. პირველ ქართულ უნივერსიტეტზე სასაუბრო ბევრია. იმედი მაქვს, რომ დიდი ნაწილი სოფელ ხოვლეს მოსწავლეებისა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტი გახდება", — აღნიშნა მარინე ლომოურმა.

სოფელ ხოვლეს საჯარო სკოლის დირექტორმა ციური ედიშერაშვილმა პედაგოგებისა და მოსწავლეების სახელით მადლობა გადაუხადა თსუ-ის ადმინისტრაციას მასპინძლობისთვის. „თსუ-ის წარჩინებული სტუდენტია ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული ნატო ხუციშვილი, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ეროვნული გამოცდები. ეს ვიზიტი მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ მოსწავლეებში ცოდნის წყურვილსა და მოტივაციას გაზრდის. ასეთ გარემოში სწავლა და კვლევა ყველა მოსწავლის ოცნებაა, მით უმეტეს, როცა იცი, რომ ეს უნივერსიტეტი შენი თანასოფლელის, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის თავდადებული შრომის ნაყოფია".

მოსწავლეებს ივანე ჯავახიშვილის აუდიტორიაში თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი შეხვდა, რომელმაც სტუმრებს უნივერსიტეტის ცხოვრებიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი და უცნობი ეპიზოდის შესახებ მოუთხრო და სკოლის პედაგოგებს უფრო აქტიური თანამშრომლობისკენ მოუწოდა: „ჩვენ ვეცდებით, რომ ხოვლეს სკოლის არც ერთმა მოსწავლემ სტუმრად არ იგრძნოს თავი უნივერსიტეტში. ისინი გაეცნობიან უნივერსიტეტის ისტორიას, ფასეულობებს, უმაღლესი დონის სასწავლო პროგრამებს, რომლითაც დღეს მთელი ქვეყანა ამაყობს. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი მზადაა — მხარი დაუჭიროს თქვენი სკოლის ყველა ინიციატივას, რომელიც სწავლის ხარისხის ამაღლებასა და მოსწავლეების გააქტიურებას შეუწყობს ხელს".

„აქ სწავლა ჩემი ოცნებაა, რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთერთი საუკეთესო უნივერსიტეტია. აქაურ გარემოს დღეს უფრო ახლოს გავეცანით. უფრო მეტი რამ შევიტყვეთ მის ფუძემდებლებსა და ისტორიაზე. ჩემთვის ორმაგად საპატიოა ამ კედლებში ყოფნა, რადგან მეც ჯავახიშვილი ვარ და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ დიდი მეცნიერის ხსოვნის წინაშე", — აღნიშნა სოფელ ხოვლეს საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლემ მარიამ ჯავახიშვილმა.

თსუ-ის რექტორის მრჩეველმა მარინე ლომოურმა სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს თანამშრომლობის გააქტიურებისკენ მოუწოდა, რაც კონფერენციებში, ერთობლივი კვლევებისა თუ ოლიმპიადების ორგანიზებაში მონაწილეობასაც გულისხმობს. „თსუ-ის ადმინისტრაცია მზადაა, თქვენგან წამოსული საინტერესო წინადადებები და მოსაზრებები განიხილოს და დაგეხმაროთ მათ რეალიზებაში", — აღნიშნა ქალბატონმა მარინემ შეხვედრის ბოლოს.

ხოვლეს სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა დიდი მადლობა გადაუხადეს თსუ-ის ადმინისტრაციას საინტერესო და ნაყოფიერი შეხვედრისთვის და იმედი გამოთქვეს, რომ ასეთი გულთბილი მასპინძლობა სამომავლოდ აუცილებლად კეთილ ნაყოფს გამოიღებს.

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲨᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

სოფელ ხოვლეში, ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იხსნება. მუზეუმს უკვე გადაეცა ცენტრის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი კომპიუტერები, მხატვრული ლიტერატურა და ავეჯი.

პროექტი — „ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის ბაზაზე კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა" ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" ეკუთვნის და მის განხორციელებაში თბილისისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტებიც არის ჩართული. პროექტი საპილოტეა. იგი 2012 წლის 16 იანვარს ამოქმედდა და ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდება. წარმატების შემთხვევაში კი, სამომავლოდ, იგი, საქართველოს მასშტაბით, გამოჩენილ ადამიანთა სახლ-მუზეუმების ბაზაზე მედიათეკების ქსელის შექმნას ითვალისწინებს.

„კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი განკუთვნილი იქნება ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის. აქ გაიხსნება კომპიუტერის შემსწავლელი კურსები და ამოქმედდება ბიბლიოთეკა. აღნიშნული სერვისებით სარგებლობა ყველას შეეძლება, მაგრამ ძირითადად, იმ ახალგაზრდებზე ვიქნებით ორიენტირებულნი, რომლებიც დამამთავრებელ კლასებში სწავლობენ. ვგეგმავთ, რომ ცენტრში ცნობილ ადამიანებთანაც მოეწყოს შეხვედრები, გაიმართოს კონფერენციები. ჩვენ ყველა ერთად ვაშენებთ ახალ ლიბერალურ-დემოკრატიულ ქვეყანას, ამისთვის კი მნიშვნელოვანია, რომ რაიონი დაუკავშირდეს ქალაქს. თუ აღნიშნულმა პროექტმა ხოვლეში გაამართლა, ჩვენ ქვეყნის მასშტაბით სახლ-მუზეუმებში მედიათეკების ქსელს ჩამოვაყალიბებთ", — განაცხადა პროექტის — „ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის ბაზაზე კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის შექმნა" ხელმძღვანელმა ზიზი თორთლაძემ.

ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს კომპიუტერის მაგიდები, სკამები და წიგნების კარადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გადასცა. თსუ-ის ადმინისტრაცია მუზეუმის დახმარებას მომავალშიც გეგმავს.

„ნებისმიერი მუზეუმის, არქივის, სახლ-მუზეუმის არსებობა წარსულისადმი პატივისცემას ნიშნავს. წარსულის პატივისცემა კი მაშინ არის განსაკუთრებით გონივრული, როდესაც ის უკეთესი მომავლის საფუძველი ხდება. ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს" პროექტი საშუალებას იძლევა, რომ ქვეყანაში ნებისმიერი სახლ-მუზეუმი გახდეს კულტურისა და მეცნიერების ცენტრი, სადაც ადამიანები ერთად იფიქრებენ მომავალზე, იმსჯელებენ მეცნიერებასა და კულტურაზე. ის პრობლემები, რომლებიც მას აქვს, ვფიქრობ, გადაუწყვეტელი არ არის. ჩვენ ვეცდებით, დავეხმაროთ მუზეუმს. ურთიერთპატივისცემითა და თანადგომით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება", — აღნიშნა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ნოდარ ბელქანიამ.

ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში განთავსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო რესურსითაც უზრუნველყოფს. თსუ-ის პროფესურა ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის ლექციებსა და სამეცნიერო კონფერენციებს გამართავს. აღსანიშნავია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით სამეცნიერო კონფერენციები ადრეც იმართებოდა. უკვე მე-3 წელია, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორის მალხაზ მაცაბერიძის თაოსნობით, ხოვლეში პროფესორ-მასწავლებლები სხვადასხვა თემატიკაზე კითხულობენ მოხსენებებს.

2 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმში პროექტის — „ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის ბაზაზე კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის შექმნის" პრეზენტაცია და სამეცნიერო კონფერენცია — „ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921)" თსუ-ის ორგანიზებით გაიმართა. მოხსენებები ილიას უნივერსიტეტის, თსუ-ისა და გორის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორებმა წარმოადგინეს: ილიას უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებულმა მკვლევარმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ოთარ ჯანელიძემ 1918-1921 წლებში ივანე ჯავახიშვილის საზოგადოებრივ პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ ისაუბრა. თსუ-ის მუზეუმის დირექტორის მოადგილემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დავით სართანიამ 1918 წლის 2 მაისს თბილისის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს სხდომაზე ივანე ჯავახიშვილის მიერ წარდგენილი მოხსენება განიხილა. გორის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გიორგი სოსიაშვილმა აუდიტორიას ივანე ჯავახიშვილის შესახებ უცნობი დოკუმენტები წარუდგინა. თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორის, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის მალხაზ მაცაბერიძის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი კი „ივანე ჯავახიშვილი და 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი" გახლდათ. სამეცნიერო კონფერენციას ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის თანამშრომლები და ხოვლეს საჯარო სკოლის მოსწავლეები ესწრებოდნენ. მომხსენებლებმა სამეცნიერო საქმიანობაში ამ ახალგაზრდების ჩართვის ინიციატივაც გამოთქვეს. მისი განხორციელების შემთხვევაში, ხოვლეს საჯარო სკოლის მაღალი კლასის მოსწავლეების მონაწილეობით მოეწყობა სამეცნიერო კონფერენცია, სადაც ისინი პროფესორ-მასწავლებლების ხელმძღვანელობით შექმნილ სამეცნიერო ხასიათის ნაშრომებს წარადგენენ.

უნდა ითქვას, რომ მუზეუმში დღემდე მოუგვარებელი რჩება რამდენიმე ტექნიკური ხასიათის პრობლემა — ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმი დამრეც ფერდობზეა აშენებული, წვიმის წყალი საძირკველში ჟონავს და შენობას აზიანებს. ფაქტობრივად, ღობის გარეშეა დარჩენილი სახლ-მუზეუმის ეზოც, რომელიც თითქმის 1 ჰექტარ ფართობს მოიცავს. ამ ტერიტორიაზე, ხშირ შემთხვევაში, საქონელი შედის და ნარგავებს აჩანაგებს. სახლ-მუზეუმის თანამშრომლები დახმარების ითხოვენ.

პროფილი

საკუთარი არჩევანის „ტყვეობაში“ გალაღებული

ჭკვიანი ადამიანის გონებაში მუდამ ტრიალებს ერთი მარტივი ჭეშმარიტება: „პატივი ეცი ხალხს!“ ... და როცა ადამიანები მათთან დამოკიდებულებაში შენს გულწრფელობას ხედავენ, ეს მარტივი ჭეშმარიტება უკან მოსასვლელ გზას თავად პოულობს — თავად ხდები პატივდებული.

ქალბატონი ელენე ხარაბაძე *კოლეგების, სტუდენტებისა და თანამშრომლებისგან ასეთ დამოკიდებულებას ახლა უფრო შეიცნობს, რადგან ამ ურთიერთობას დეკანის მანტია აღარ „დაჩრდილავს“.*

იგი ბოლო სამი წელი სათავეში ედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს და ამ პერიოდში, გარდა იმისა, რომ ფაკულტეტის ერთ გუნდად შეკვრა მოახერხა, ახალგაზრდებისა და თანამშრომლების დიდი სიყვარულიც დაიმსახურა.

გუნდური მუშაობა და ურთიერთპატივისცემა — ესაა ის ძირითადი პრინციპი, რომლითაც ქალბატონი ელენე დეკანის მოვალეობის შესრულების დროს ხელმძღვანელობდა და ამიტომაც ადმინისტრაციული თანამდებობიდან იგი მართლაც გულისწყვეტით გააცილეს. თუმცა, თავად ამ გადაწყვეტილებას იმით ხსნის, რომ ურჩევნია — საყვარელი საქმე სრული პროფესორის ამპლუით გააგრძელოს და ეს მისთვის მთავარია, რადგანაც მთელი ცხოვრება პედაგოგის ურთულეს სპეციალობას ემსახურება.

ქალბატონი ელენე ძალიან კარგი მოსაუბრეა. ამიტომაც მისი პორტრეტის შექმნაზე დიდი ძალისხმევა არ დაგვჭირვებია. არც მკითხველს დასჭირდება ფრაზების უკან ჭეშმარიტების ძიება — თითოეულ კითხვაზე გაცემულ პასუხში მან ჩვეული გულწრფელობით დახატა საკუთარი პროფილი.

25 მანეთით დაწყებული ეკონომისტის სპეციალობა...

„წარმოშობით სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაიშიდან ვარ.

მშობლები პედაგოგები იყვნენ და, საერთოდაც, პედაგოგთა დინასტიას ვეკუთვნი — ყველა დეიდა, მამიდა, ბიძა პედაგოგები იყვნენ. დედა საშუალო სკოლაში ასწავლიდა, მამა – დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში. ისინი დამსახურებული პედაგოგები იყვნენ. 1939 წელს დედას, რომელიც დაწყებით კლასებს ასწავლიდა, თავად კალინინისგან წითელი დროშის ორდენიც კი მიუღია (საქართველოდან სულ 4 იყვნენ ჩასული).

მამა საბჭოთა კავშირის მასშტაბით ცნობილ დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმში მოღვაწეობდა.

ვსწავლობდი სოფლის სკოლაში. დედას ძალიან უნდოდა ექიმი გავმხდარიყავი, რადგანაც წარმატებული მოსწავლე ვიყავი და მაშინ ასე იყო მიღებული — წარმატებული მოსწავლეები ძირითადად ექიმები ხდებოდნენ. მე კატეგორიულად არ მინდოდა სამედიცინო ფაკულტეტი, თუმცა დედას ხათრს ვერ ვუტეხდი. ამ პრობლემისგან მამამ გადამარჩინა. ის თავიდან სამედიცინოზე სწავლობდა და მტკივნეულად იხსენებდა იმ ლექციებს, რომელზეც ანატომიას სწავლობდნენ და პრაქტიკებს ადამიანის სხეულზე გადიოდნენ. მაშინ ასეთი წესი ყოფილა, თუ შენს ადგილზე ვინმე სტუდენტს არ მიიყვანდი, სპეციალობას ვერ შეიცვლიდი და ამიტომ მამასაც უნახავს ასეთი პიროვნება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში და მისთვის გაუცვლია ადგილი სამედიცინო ინსტიტუტში.

რადგანაც მამამ იცოდა, რა ცუდი იყო, როცა იქ სწავლობდი, სადაც არ გინდოდა, ჩუმად მიჭერდა მხარს. ერთ დღესაც იგი სახლში მოვიდა და ხმამაღლა მომმართა: „მამიკო, შენ სექტემბრიდან 25 მანეთი გექნება სტიპენდიაო“. გავოცდით, რადგანაც ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი და იქ, თავისთავად ცხადია, სტიპენდიას არავინ მომცემდა... აღმოჩნდა, რომ მამამ ჩემი საბუთები ტექნიკუმში ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობაზე გადაიტანა. ამგვარად ტექნიკუმი წარჩინებით დავამთავრე და 1961 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. მას შემდეგ ამ კედლებს არ მოვცილებივარ“.

უნივერსიტეტში

„სტუდენტობის არაჩვეულებრივად ლამაზი წლები გავატარე. რექტორი მაშინ ბატონი ილია ვეკუა გახლდათ.

უნივერსიტეტში მშვიდი სასწავლო გარემო სუფევდა და ჩვენც სტუდენტური ცხოვრების ყველა ის ეტაპი გავიარეთ, რითაც მაშინდელი ახალგაზრდობა სუნთქავდა — თავისი პრაქტიკებით, სტუდენტური სემესტრებით, ყამირით და ა.შ.

მინდა აღვნიშნო, რომ იმ პერიოდისთვის წარმოუდგენელი იყო ე.წ. „ჩაწყობა“. თითქმის ბოლო კურსზე ვიყავით, როცა ეს სიტყვა გავიგონეთ და ძალიანაც გავიოცეთ – არ ვიცოდით, რას ნიშნავდა...

მაშინ ეკონომიკის ფაკულტეტი V კორპუსში იყო განთავსებული და ყველაზე მეტად ის მახსოვს, რომ სესიების დროს ყველა ახალგაზრდა, წარჩინებული თუ საშუალო მოსწრების, ერთად მეცადინეობდა. ეს თვალშისაცემი იყო, რადგანაც სესიების პერიოდში შენობაში გვიანობამდე ვერ ნახავდით ცარიელ აუდიტორიას — ჯგუფურად ვმეცადინეობდით.

ბედნიერი პიროვნება ვარ, რადგანაც პედაგოგიკისა და ეკონომიკის მეცნიერების კორიფეები მასწავლიდნენ. თუნდაც პროფესორი გივი ჭანუყვაძე, რომელმაც შვილივით გამზარდა. მოგვიანებით იმასაც მივხვდი, რომ თითოეულ კერძო საუბარშიც კი იგი მასწავლიდა იმას, რაც მეორე დღეს აუცილებლად გამომადგებოდა. ჩემი ლექტორები იყვნენ პროფესორები: ირაკლი მიქელაძე, კოკი გაბუნია, ვასილ ჩანტლაძე, ნიკო ქოიავა, რომელი ერთი ჩამოგითვალოთ... დღესაც მადლიერებას ვუთვლი ყველა მათგანის ხსოვნას, რადგანაც თუ რამე გამიკეთებია ცხოვრებაში, მხოლოდ იმით, რომ ჩემს მონდომებასთან ერთად გზის კარგი გამკვალავებიც მყავდა“.

ლექცია, რომელმაც მომავალი განსაზღვრა

„მეცნიერებასა და უნივერსიტეტში დამკვიდრებაზე არასოდეს მიფიქრია, ეს თავისთავად მოხდა. უნივერსიტეტში წარჩინებულ სტუდენტად ვითვლებოდი. გარდა ამისა, სხვადასხვა საქმიანობაშიც აქტიურიც ვიყავი — ვცეკვავდი უნივერსიტეტის ანსამბლში (სხვათა შორის, მე და თენგო ყურაშვილი ერთად ვცეკვავდით, მერე თენგო სწორედ ამ მიმართულებას გაჰყვა და ერთერთი „სუხიშვილი“ გახდა).

დავამთავრე უნივერსიტეტი და გამანაწილეს ვაჭრობის სამინისტროში, სადაც სულ რაღაც ორი თუ სამი თვე ვიმუშავე. ერთ დღეს, სრულიად შემთხვევით, ქუჩაში შემხვდა პროფესორი ფარნაოზ მენთეშაშვილი, თსუ-ის აღრიცხვისა და ანალიზის კათედრის გამგე და მკითხა — ჩემთან მუშაობა არ გინდაო? პასუხს არც დალოდებია, ისე მითხრა, ხვალ დილით 10 საათზე მოდი ჩემთანო. გამიხარდა და, რა თქმა უნდა, მივედი. მაშინ ბატონ ფარნაოზს აღებული ჰქონდა ე.წ. სახელშეკრულებო თემები კვების მრეწველობის სამინისტროსთან (დაახლოებით თანამედროვე პროექტის მსგავსი). ამ ტიპის თემები მაშინ საქართველოში პირველი მერცხალი იყო, ხოლო ეკონომიკის ფაკულტეტზე — ერთადერთი. სწორედ ამ მიმართულებით დავიწყე მეცნიერმუშაკად მუშაობა. ასე აღმოვჩნდი უნივერსიტეტში.

რაც შეეხება პედაგოგობას, ესეც სრულიად შემთხვევით დაიწყო და ცხადია, პირველი ლექცია კარგად მახსოვს.

1967 წლის 3 ოქტომბერი იყო, როცა ბატონმა გივი ჭანუყვაძემ (მაშინდელმა დეკანმა) დამიძახა და მითხრა, რომ ბუღალტრულ აღრიცხვაში ლექცია ცდება და აუდიტორიაში უნდა შეხვიდეო. მისი სიტყვა ჩემთვის კანონი იყო. შევედი აუდიტორიაში (წარმოიდგინეთ ჩემი ღელვა), სადაც დამხვდნენ თითქმის ჩემი ტოლი, საკმაოდ მოწიფული ახალგაზრდები, მეტწილად ვაჟები. პირველივე ლექციაზე ომარ ჩადუნელმა, რომელიც შემდგომში ჩვენთან კათედრის გამგე იყო, შემომხედა და ჩაილაპარაკა: „ეეეეეჰ, თქვენისთანები რამდენი გაგვიქცევიაო“... კარგად მახსოვს, რომ ძალიან წყნარად ვუპასუხე: „ნიწილებს შემოდგომაზე ითვლიან-მეთქი“. ასე გაკეთდა არჩევანი და მას შემდგომ ამ გზისთვის აღარ მიღალატია.

ბატონმა გივიმ კატეგორიულად მოითხოვა, რომ ყოველგვარი სხვა სამსახურისთვის თავი დამენებებინა და მეც ასისტენტად დავიწყე მუშაობა ეკონომიკის ფაკულტეტზე. მალევე ჩავაბარე ასპირანტურაში და მერე უკვე ყველაფერი თავისი გზით წავიდა“.

მეღვინეების მოსკოვური პროტესტი

„საკანდიდატო დისერტაციაში — „ღვინის მრეწველობის საწარმოო ფონდების გამოყენების ეფექტურობის მაჩვენებელი“ შევისწავლე „სამტრესტის“ მთელი სტრუქტურა, 38 ღვინის ქარხნის ჩათვლით. ეს 70-იანი წლები იყო და უფროს თაობას ახსოვს მეღვინეების მაშინდელი პოლიტიკა. როგორც ჩანს, ჩემმა კვლევამ რაღაც ზედმეტი აჩვენა და ამან მაინცდამაინც კარგ განწყობაზე არ დააყენა „სამტრესტის“ გაერთიანების (ასე ერქვა მაშინ) რომელიღაც ჯგუფი. და მოხდა უცნაური ფაქტი: მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი უკვე წელიწადნახევრის აღებული მქონდა, როცა ვიღაცამ მიჩივლა, რომ ნაშრომში რაღაც სწორად არ მქონდა წარმოჩენილი და მოსკოვში ე.წ „ვაკ“-ში გამომიძახეს. მიწვევა მივიღე ორშაბათ საღამოს, ხოლო ოთხშაბათს უკვე ჩემი დისერტაციის ხელახალი დაცვა იყო დანიშნული. ყველა გაოცებული იყო. მათ შორის, უნივერსიტეტის მაშინდელი პრორექტორი, ბატონი სერგო ჯორბენაძე. მისი რჩევით, მეორე დღესვე გავფრინდი მოსკოვში და „ვაკ“-ში (სადაც საბჭოთა კავშირის მასშტაბით დისერტაციების დაცვა ხდებოდა) გამოვცხადდი.

დაცვას ესწრებოდა ცნობილი და ძალზე მკაცრი მეცნიერი, პროფესორი რიაბუშკინი, რომლისაც ყველას ეშინოდა (სხვათა შორის, არ ვიცოდი, რომ იგი ესწრებოდა ჩემს დაცვას, თორემ შიშით მეც გული გამისკდებოდა), მაგრამ ამავე დროს იქვე მითხრეს, თუ თქვენ ყველაფერი წესრიგში გაქვთ, ბედნიერებაა, რომ სწორედ რიაბუშკინი გესწრებათ, რადგანაც ის არასოდეს მიიღებს უკანონო გადაწყვეტილებასო.

ასეც მოხდა. ჩემი პოზიციები ხელახლა დავიცავი ვაკი-ის კოლეგიის სხდომაზე და არა საექსპერტო სხდომაზე, როგორც საერთოდ ხდებოდა ხოლმე.

რაც შეეხება სამეცნიერო მუშაობას, გეტყვით, რომ სამეცნიერო და სასწავლო პროცესი ჩემთვის ერთმანეთზე იყო გადაბმული. წლების მანძილზე 5 სახელშეკრულებო თემა მაქვს მომზადებული სხვადასხვა უწყებასთან და იმ თემების ფარგლებში შეძენილი ავეჯი დღემდე დგას ფაკულტეტზე“.

აუდიტორული საქმიანობის სათავეებთან

1992-1998 წლებში ფაკულტეტის კათედრის გამგე ვიყავი. ამ პერიოდში ქვეყანაში დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდი, რასაც საბაზრო ეკონომიკის ერთერთი ატრიბუტის — აუდიტორული საქმიანობის განვითარების აუცილებლობა მოჰყვა. ეს ჩემი სპეციალობა გახლავთ და ამიტომ ამ საქმეშიც ჩავერთე. საქართველოში აუდიტორული საქმიანობის საწყისები ჩემი მონაწილეობით და უშუალოდ ჩემს მიერ დაინერგა. დავაფუძნე და გავხსენი აუდიტორული ფირმა „ელკო-აუდიტი“, რომელიც წარმატებით მუშაობდა წლების განმავლობაში. მას თავი დავანებე მხოლოდ მაშინ, როცა კანონმა განსაზღვრა, რომ უნივერსიტეტის სრულ პროფესორს სხვა დატვირთვა არ უნდა ჰქონოდა. ამის საშუალება იმანაც მომცა, რომ უნივერსიტეტში ხელფასების საკითხი ასე თუ ისე მოწესრიგდა და ფინანსური უზრუნველყოფის პრობლემაც მოგვარდა.

მერე კი იყო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე დეკანის მოვალეობის შესრულება, რომელსაც, მიმაჩნია, რომ თავი გავართვი“.

თანხმობა დეკანობაზე კოლეგების წაქეზებით

„დანიშნული დეკანი ვიყავი. თავის დროზე, ფაკულტეტზე შექმნილი სიტუაციის გამო, რექტორმა გიორგი ხუბუამ მთხოვა, შემეთავსებინა დეკანის მოვალეობა. ჩემთვის ეს ძალიან მოულოდნელი წინადადება იყო და დიდხანს ვიყოყმანე, დავთანხმებოდი თუ არა. კოლეგების წაქეზებით დავთანხმდი, ოღონდ ერთი პირობით — არ შეცვლილიყო აკადემიური პერსონალი და როგორც კი გამოჩნდებოდა სათანადო კადრი, ჩატარებულიყო არჩევნები და ფაკულტეტს არჩეული დეკანი ჰყოლოდა. დამთანხმდნენ და დავიწყე მუშაობა.

თუ ჩემი დეკანობის დროს მართლა რაიმე სასიკეთო ცვლილება მოხდა ამ ფაკულტეტზე, გულწრფელად ვამბობ, ეს არის მთელი აკადემიური პერსონალის ერთობლივი ძალისხმევის შედეგი. ჩვენ მაშინ შევთანხმდით, რომ ვიმუშავებდით ჯგუფურად, მოვუსმენდით ერთმანეთს და ერთად მივიდოდით გადაწყვეტილებამდე. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი დეკანობის თითქმის სამი წლის განმავლობაში ეს პრინციპი არ შეცვლილა და ფაკულტეტმა გარკვეული წარმატებული ნაბიჯები გადადგა როგორც სასწავლო და სამეცნიერო, ასევე, საერთაშორისო პროექტების დანერგვასთან მიმართებაში.

დეკანის მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმა მხოლოდ ჩემი პრინციპიდან გამომდინარე მოხდა. მიმაჩნია, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, რომელიც რიცხოვნობით, შემოსავლებით და პერსპექტივითაც ყველაზე დიდი ფაკულტეტია უნივერსიტეტში, ღირსია, რომ არჩეული დეკანი ჰყავდეს.

პარალელები...

„არ მიყვარს, როცა ახალგაზრდობაზე აუგი მესმის და წინა თაობის უპირატესობაზე საუბრობენ. რა თქმა უნდა, თაობებს შორის სხვაობა არის და ეს, ძირითადად, მათი ქცევის თავისებურებებშია და არა განათლებაში.

მახსოვს, როცა ახალი დაწყებული მქონდა პედაგოგიური საქმიანობა და დერეფანში გავივლიდი, ჩემზე უფროსი და ჩემი ტოლი სტუდენტები კედლებს ეკვროდნენ და ანთებულ სიგარეტს ჯიბეში მალავდნენ, მაგრამ ეს ჩემი კი არა, მათი აღზრდის დამსახურება იყო.

დღეს ასე აღარ არის, მაგრამ ამ თაობას ცოდნისადმი გულგრილ დამოკიდებულებას ვერავინ დასწამებს. სხვათა შორის, დღევანდელი მთავრობის ძირითადი ნაწილი ჩემი ფაკულტეტის კურსდამთავრებულია, აქ აღიზარდნენ დღეს ცნობილი ბიზნესმენები.

ჩემი სტუდენტებიდან ბევრი მუშაობს მსოფლიო ბანკსა და მსოფლიო სავალუტო ფონდში. უამრავმა ჩვენმა კურსდამთავრებულმა დაამთავრა მაგისტრატურა სხვადასხვა მაღალი რეიტინგის უმაღლეს სასწავლებელში. მათგან 27-ზე რეკომენდაცია მე დავწერე. როგორ გგონიათ, ოქსფორდისთვის იმდენად ცნობილი იყო ელენე ხარაბაძის ხელმოწერა, რომ ჩემი ხელმოწერისა და რეკომენდაციით ჩაირიცხებოდნენ ეს ახალგაზრდები ოქსფორდში, ბირმინგემსა და სკანდინავიის ქვეყნების უნივერსიტეტების მაგისტრატურაში? მათ შესაბამისი ცოდნა გააჩნდათ და ეს ცოდნა სწორედ აქ, ამ უნივერსიტეტში და ამ ფაკულტეტზე მიიღეს... ყოველთვის იყო წარჩინებული და ზარმაცი სტუდენტი, ამიტომ თაობა ერთი და ათი სტუდენტით არ უნდა განსაზღვრო.

მახსოვს, ერთ პერიოდში უნივერსიტეტში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მოსწრება 100%-იანი უნდა ყოფილიყო, ანუ ჩამორჩენილი სტუდენტი არ უნდა გვყოლოდა... ჩემთვის ეს მაშინაც მიუღებელი იყო და დღესაც მიუღებელია. ჩვეულებრივ ვწერდი დაბალ და მაღალ შეფასებას მაშინ და ვწერ დღესაც, რადგანაც 20 ათასი სტუდენტიდან ყველა 100 ქულას ვერ დაიმსახურებს და ყველა მოწინავე ვერ იქნება. ეს ასეა, მაგრამ ამ თაობაში სასიხარულოა ის, რომ ძალიან ბევრი სტუდენტია დაინტერესებული — რაც შეიძლება მეტი ცოდნა წაიღოს უნივერსიტეტიდან... ესაა ძირითადი სხვაობა წინა თაობასა და დღევანდელი თაობის სტუდენტობას შორის. დღეს სტუდენტმა იცის, რომ მას სჭირდება მაღალი დონის განათლება, რათა სამუშაო ადგილი იშოვოს.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ XXI საუკუნეში საქართველოს ღირსეული ცვლა ეყოლება და ამის შემოქმედი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია“.

შინ

კომუნიკაბელურობამ და ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭმა ქალბატონ ელენეს უნივერსიტეტში სასიამოვნო თანამშრომლის იმიჯი დაუმკვიდრა. ამ დერეფნებში ვერ ნახავთ ადამიანს, რომელიც მას ღიმილით არ ესალმება და თბილად არ მოიკითხავს. ინტერვიუს ჩაწერაც რამდენჯერმე შევწყვიტეთ იმის გამო, რომ ბევრს უნდოდა ჩემი რესპონდენტი მოეკითხა და მის მიმართ სიყვარული გამოემჟღავნებინა.

ქალბატონ ელენეს მეუღლე და ერთი ქალიშვილი ჰყავს. 2 შვილიშვილიდან ერთი სკოლაში სწავლობს, მეორე კი ბებიის კვალს გაჰყვა და თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლობს, თუმცა თავიდან ქულების ნაკლებობის გამო თეუსუ-ის სტუდენტი გახდა და ახლა თურმე ხუმრობს, მე რომ ვერ ჩავირიცხე თქვენთან, იმიტომ შეუერთეს თეუსუ უნივერსიტეტსო.

„მე ჩემი მოსახელეც მყავს, პირდაპირი მემკვიდრე და ძმისშვილიშვილი — ელენე ხარაბაძე, რომელსაც მკაცრად აქვს გადაწყვეტილი, რომ ბებიას აჯობოს. ვნახოთ... ცხოვრება წინ არის“, — ღიმილით ასრულებს ქალბატონი ელენე საკუთარ ცხოვრებაზე თხრობას და ჩვენც ვეთანხმებით: ცხოვრება წინ არის და გზაზე დადებული სიკეთე მას ბევრჯერ შეახსენებს თავს... სიკეთემ თვალის დახუჭვა არ იცის.

დამსახურებული შეფასება DAAD-ისგან

თამარ დადიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის კავკასიისა და ცენტრალური აზიის განყოფილების ხელმძღვანელის ქალბატონ მონიკა პრშიბიშისგან მადლობის წერილი მიიღო, რომელიც ეხება თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის (GDI) საქმიანობას. ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის მიერ გამართულმა ღონისძიებებმა გერმანელი კოლეგების (პროფესორი ანგელა მიკლეი, პროფესორი უვე ჰალბახი) მაღალი შეფასება დაიმსახურა. სწორედ ეს აისახა DAAD-ის წარმომადგენლის ქალბატონ მონიკა პრშიბიშის მადლობის წერილშიც, სადაც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ასეთი წარმატება შესაძლებელი გახდა პროფესორ რევაზ გველესიანის და პროფესორ ვოლფგანგ ვენგის სანიმუშო თანამშრომლობით. იგი იწონებს მთელი ინსტიტუტის საქმიანობას, განსაკუთრებით კი მისი თანამშრომლების: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, სამეცნიერო-კვლევით სფეროში ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, პროფესორ ეკა ლეკაშვილის, მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღვანელის, მეწარმეობის სფეროში ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, პროფესორ ეთერ ხარაიშვილისა და ეკონომიკური თეორიის კათედრის ხელმძღვანელის, პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილის ინიციატივასა და მენეჯმენტის მაღალ კულტურას. ქალბატონი მ.პრშიბიში მადლობას უხდის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ყოფილ დეკანს, პროფესორ ელენე ხარაბაძეს აქტიური მხარდაჭერისა და საუცხოო სტუმართმოყვარეობისთვის. იგი იმედოვნებს, რომ GDI-ის მიერ სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებებიც ასეთივე წარმატებით განხორციელდება.

გასული წლის 29 სექტემბერს GDI-ის მოწვევით თსუ-ში სტუმრად იმყოფებოდა DAAD-ის კავკასიისა და ცენტრალური აზიის განყოფილების ხელმძღვანელი ქალბატონი მონიკა პრშიბიში. მან წაიკითხა საინფორმაციო ლექცია თემაზე: „გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის წამახალისებელი პროგრამები გერმანიაში უმაღლესი განათლების მისაღებად“ და ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს, დოქტორანტებს და პროფესურას გააცნო ის ძირითადი მოთხოვნები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა DAAD-ის კონკურსში წარმატების მისაღწევად.

აღსანიშნავია, რომ თბილისისა და ბერლინის უნივერსიტეტების თანამშრომლობის დაწყებასა და შემდგომ გაღრმავებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ რევაზ გველესიანს. იგი გახლავთ გერმანიის სამეცნიერო-კვლევითი კონკურსების 15-გზის გამარჯვებული, მათ შორის, 6-ჯერ მოპოვებული აქვს DAAD-ის სამეცნიერო გრანტი.

რევაზ გველესიანი,
ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი:

— ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ გერმანული ინსტიტუტის შექმნის იდეა 2005 წლის 19 სექტემბერს დაიბადა. გერმანელი პროფესორი ვოლფგანგ ვენგი გაეცნო რა საქართველოს ისტორიასა და კულტურას, DAAD-ის პროგრამების განსახორციელებლად არჩევანი საქართველოზე შეაჩერა. იგი საქართველოში ჩამობრძანდა და თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტს ესტუმრა. ბატონ ვენგს მეც შევხვდი და ჩვენი ფაკულტეტის საქმიანობა და კოლექტივი გავაცანი. სწორედ აქ დაიბადა თანამშრომლობის იდეა. ამისათვის კი საჭირო იყო ერთობლივი სტრუქტურული ერთეული, რომლის ფარგლებშიც მოხდებოდა ჩვენი თანამშრომლობა. ასე დაარსდა ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტი, რომელმაც ფუნქციონირება 2006 წლის 20 ნოემბერს დაიწყო.

ინსტიტუტში მისი დაარსებიდან დღემდე ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესის სრულყოფასთან დაკავშირებული ღონისძიებები. ამ ინსტიტუტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ერთობლივი სამეცნიერო, კვლევითი მუშაობის განხორციელებას. სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით ჩვენ უკვე შევეხმიანეთ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის იმ ქვეყნებს, სადაც წარმატებით განხორციელდა აგრო-სასურსათო პროდუქტების წარმოების ეკონომიკური პოლიტიკა. DAAD-ის პროგრამის დახმარებით ვამზადებთ პროექტს საერთაშორისო პრაქტიკული-სამეცნიერო კონფერენციის ჩასატარებლად. კონფერენციაზე მოხსენებების სახით წარვადგენთ წარმატებულ პროექტებს, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედება ჩვენს ქვეყანაში აგრარული ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტების მიმართულებების განვითარებასა და შემუშავებას.

ქართულ-გერმანული ინსტიტუტის ფარგლებში, დაახლოებით, 20 უცხოელი პროფესორი იყო მოწვეული, რომლებიც ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებს ინტენსიური ლექციების კურსს უკითხავდნენ. პირველი მასშტაბური საერთაშორისო ღონისძიება ინსტიტუტის ორგანიზებით იყო „თბილისის ბალკონი“, სადაც მოწვეული გვყავდა გერმანიის მომხმარებელთა საზოგადოების პრეზიდენტი, ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის საკითხებში გერმანიის წარმომადგენელი ევროკავშირში, ბერლინის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბატონი ჰაიკო შტეფენსი, DAAD-ის კავკასიისა და ცენტრალური აზიის განყოფილების უფროსი, ქალბატონი მონიკა პრშიბიში, ასევე, ცნობილი ექსპერტები კონფლიქტების დარგში, რომლებიც მუშაობდნენ სამხრეთ კორეაში, ნამიბიაში, მოლდავეთში. ღონისძიებამ წარმატებით ჩაიარა და ეკონომიკურ წრეებში დიდი რეზონანსიც გამოიწვია.

ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტისათვის განსაკუთრებით აქტიური, მრავალფეროვანი და ნაყოფიერი გამოდგა 2011 წელი. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შეხვედრები ბერლინის უნივერსიტეტის ხელმძღვანელებთან. ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივის (პროფესორები: რ. გველესიანი, ე. ლეკაშვილი ე. ხარაიშვილი, ე. მექვაბიშვილი, ი. გოგორიშვილი, გ. ერქომაიშვილი, შ. გოგიაშვილი, ნ. პაპაჩაშვილი, დოქტორანტი გ. გაფრინდაშვილი) და ინსტიტუტის თანადირექტორის, პროფესორ ვოლფგანგ ვენგის დახმარებით 2011 წლის 13 დეკემბერს ბერლინში გაიმართა თსუ-ის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილისა და ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის პრეზიდენტის, ბატონ იორგ შტაინბახის შეხვედრა, (აღნიშნულს წინ უძღოდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ჩომახიძის შეხვედრა ბერლინის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტთან, ბატონ პაულ უვე თამსენთან ა.წ. 31 ოქტომბერს). მათ განიხილეს ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროგრამების განხორციელების აქტუალური საკითხები და შეთანხმდნენ, რომ ბერლინის ტექნიკური და ტვენტეს უნივერსიტეტების ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაში — „მეწარმეობის დაფუძნების პოლიტიკა“ — წარმატებული ქართველი მაგისტრანტებისთვის 8-10 ადგილი გამოიყოფოდა და მათ გარკვეული ფინანსური შეღავათებიც გაეწეოდათ; ასევე, ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის მხარდაჭერით დაიგეგმა თსუ-ის ეკონომიკური პოლიტიკის ქართულ-გერმანული ინსტიტუტის ფარგლებში მეწარმეობის ცენტრის გახსნა.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა თსუ-ის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის შეხვედრები მსოფლიოს შემოქმედებითი ადამიანების თანამედროვე აქტუალური პროექტის — „Coworking Space“-ის ბერლინის „CLUB OFFICE“-ს წარმომადგენლებთან: სინ მაკსიმონთან და რობერტ პფადთთან. ისინი მზად არიან დაეხმარონ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აღნიშნული პროექტის განხორციელებაში, რომელიც პირველი იქნება, როგორც მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში, ასევე, აღმოსავლეთ ევროპაშიც.

მომავალი თანამშრომლობის განხორციელების კიდევ ერთი დასტურია ის, რომ 2012 წლის ივნისში GDI-ის მიერ დაგეგმილია საერთაშორისო ეკონომიკურ-პოლიტიკური ფორუმის გამართვა, რომელიც მეწარმეობის დაფუძნებისა და განვითარების პოლიტიკას მიეძღვნება. ფორუმის სტუმრები და ძირითადი მომხსენებლები გერმანიის მხრიდან იქნებიან გერმანიის ეროვნული და ევროკავშირის სამეცნიერო პრემიების ლაურეატი, პროფესორი, დოქტორი ნორბერტ კუნცი და გერმანიის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი, გერმანიის ბაზრის ლიდერი „Tea Campaign“-ის ხელმძღვანელი გიუნტერ ფალთინი.

წიგნის თარო

ნიადაგმცოდნეობის უახლესი მიღწევები

თამარ დადიანი

14 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის დარბაზში თენგიზ ურუშაძის და ვიფრიდ ბლუმის სახელმძღვანელოს — „ნიადაგების გეოგრაფია ნიადაგმცოდნეობის საფუძვლებით“ პრეზენტაცია გაიმართა. სახელმძღვანელო თსუ-ის გამომცემლობაში დაიბეჭდა.



პრეზენტაცია თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა გახსნა, რომელმაც აღნიშნა, რომ ასეთი წიგნის მომზადება და გამოცემა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მასზე მუშაობა ქართველი და გერმანელი მეცნიერების, თსუ-ისა და ვენის უნივერსიტეტის პროფესორების თანამშრომლობის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ნიადაგების გეოგრაფიაში მსგავსი სახელმძღვანელო ქართულ ენაზე პირველად დაიბეჭდა უკანასკნელი 40 წლის მანძილზე.

სახელმძღვანელოში ასახულია თანამედროვე ნიადაგმცოდნეობის უახლესი მიღწევები. განხილულია ნიადაგის გეოგრაფიის და, საერთოდ, ნიადაგმცოდნეობის საგანი და ამოცანები; გაშუქებულია გეოგრაფიული გარემოს კომპონენტების, როგორც ნიადაგწარმომქმნელი ფაქტორების მნიშვნელობა; მოცემულია ნიადაგის მყარი, თხიერი და გაზისებრი ფაზის შედგენილობის და თვისებების დახასიათება; გაშუქებულია ნიადაგების კლასიფიკაციის პრინციპები. საქართველოს ძირითადი ნიადაგების გეოგრაფიის, გენეზისის და თვისებების აღწერის საფუძველზე გაანალიზებულია მათი გავრცელების კანონზომიერებანი და ნიადაგური საფარის შენების ორგანიზაცია; წიგნი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მსოფლიოს ნიადაგურ რესურსებზე, ნიადაგის დაცვასა და მელიორაციაზე. სახელმძღვანელო ილუსტრირებულია საქართველოსა და მსოფლიოს ნიადაგების ფერადი ფოტოებით, რომლებიც ავტორების მიერ არის გადაღებული.

„საქართველო უნიკალური ნიადაგური საფარით გამოირჩევა. ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს, ნიადაგმცოდნეობის ფუძემდებლებმა ჩვენს ქვეყანას შეარქვეს — „ნიადაგების ბუნებრივი მუზეუმი ღია ცის ქვეშ“. აქ გვხვდება მსოფლიოში გავრცელებული მრავალი ნიადაგი. ზოგი მათგანი პირველად იყო გამოყოფილი და შესწავლილი საქართველოში და ამჟამად მიღებული მონაცემების საფუძველზე იგი თითქმის ყველა კონტინენტზე გვხვდება.

ნიადაგს, როგორც ქვეყნის საუნჯეს, განსაკუთრებული მოვლა და დაცვა სჭირდება. მით უმეტეს ჩვენში, სადაც უდიერი მოპყრობის შედეგად ნიადაგის მდგომარეობა მრავალ ადგილას სავალალოა — დიდი ფართობები ეროზირებულია, დაბინძურებულია მძიმე ლითონებით, რადიონუკლიდებით და სხვ. ნიადაგების რაციონალური გამოყენება და დაცვა შეუძლებელია მათი ბუნების შესწავლის გარეშე. სამწუხაროდ, ამ მნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელება ფერხდებოდა სათანადო სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის უქონლობით. ახალი სახელმძღვანელო ამ ხარვეზს გარკვეულწილად შეავსებს“, — აღნიშნა სახელმძღვანელოს ქართველმა ავტორმა, პროფესორმა თენგიზ ურუშაძემ.

სახელმძღვანელოს ავტორებმა მადლობა გადაუხადეს სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორს, ასოცირებულ პროფესორს ლ. მაჭავარიანს; რეცენზენტებს: აკადემიკოს ო. ნათიშვილს და პროფესორ რ. გობეჯიშვილს; უნივერსიტეტის რექტორატს, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატს.

ავტორების განსაკუთრებული მადლობა დაიმსახურეს გამომცემლობის რედაქტორმა მ. ვარამაშვილმა, სახელმძღვანელოს გარეკანის დიზაინის ავტორმა თ. ჩირინაშვილმა, დამკაბადონებელმა ლ. კურდღელაშვილმა, თსუ-ის სტამბის დირექტორმა თ. სირაძემ და მისმა თანამშრომლებმა.

თავისუფალი დრო

ლექსიკოლოგიასა და ჭადრაკში მოსინჯული წარმატება

ნატო ოგოლაძე

ნინო კლდიაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაახლოებით, 30 000 სტუდენტი სწავლობს. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მათ შორის ბევრი საინტერესო სახეა — ნაწილი ლექსებსა თუ მოთხრობებს წერს, ნაწილი სპორტის რომელიმე სახეობას მისდევს და საკმაოდ წარმატებულადაც, ნაწილი მუსიკით არის გატაცებული... თუმცა, ამჯერად, ჩვენი ყურადღება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა ნინო კლდიაშვილმა მიიპყრო, რომელიც „საერთაშორისო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონის“ თანაავტორია. ლექსიკონის მთავარი ავტორი ნინოს ბაბუა, ლექსიკოლოგი როლანდ ქართველი გახლავთ. სწორედ ბატონი როლანდის ინიციატივით, ნინო კლდიაშვილმა და მისმა ძმამ — ლევანმა „საერთაშორისო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონის“ მომზადების პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. მათ ბაბუამ ასწავლა ლექსიკონის გაკეთების მეთოდიკა და, რაც მთავარია, შეაყვარა ეს საქმე.

„ხმარებაში ძალიან ბევრი საერთაშორისო სიტყვა შემოვიდა, რომელსაც განმარტება ესაჭიროება. იდეა, რომ ერთობლივად გაგვეკეთებინა ლექსიკონი, ბაბუას ეკუთვნის. იგი კრებდა სიტყვებს, მე კი კორექტირებას ვაკეთებდი. წიგნზე ორი წლის განმავლობაში ვმუშაობდით და 2009 წელს 25 000 ტირაჟით გამოვეცით. მიმდინარე წლის თებერვლის ბოლოს კი „საერთაშორისო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონის“ მეორე გამოცემა გამოვა“, — გვითხრა ნინო კლდიაშვილმა.

XIX საუკუნე გლობალიზაციის ეპოქად არის აღიარებული და ქართულ სამეტყველო თუ ლიტერატურულ ენაში ბევრი უცხო სიტყვა იმკვიდრებს ადგილს, შესაბამისად საერთაშორისო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონის გამოცემის აუცილებლობა და მნიშვნელობა ცხადი ხდება. განსაკუთრებით ეს სკოლის მოსწავლეებისათვის არის საჭირო, რომელთაც უცხო სიტყვათა ცოდნა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების დროსაც სჭირდებათ, სადაც ზოგადი უნარების გამოცდის ვერბალურ ნაწილში ანალოგიების ტესტის გაკეთება უწევთ. კლდიაშვილების ავტორობით გამოცემულ „საერთაშორისო სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში“ სულ 5 000 სიტყვაა განმარტებული. ძველ სიტყვებთან ერთად მასში ის სიტყვებიც არის შესული, რომლებიც ქართულ სამეტყველო თუ ლიტერატურულ ენაში უკანასკნელ ათწლეულში შემოვიდა.

„ჩვენ ვცხოვრობთ სწრაფად ცვალებად ენობრივ კონტექსტში. საერთაშორისო სიტყვების ის მძლავრი ნაკადი, რომელიც ჟურნალ-გაზეთებიდან მოედინება, ასევე, გაჟღერებულია რადიო და ტელე-ეთერში და რომელმაც ჩვენ ყოველდღიურ ყოფაცხოვრებაში შემოაღწია, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში რადიკალური ცვლილებების შედეგად დამკვიდრდა. ამასთან, მრავალი საერთაშორისო სიტყვის მნიშვნელობა კვლავ გაუგებარი რჩება მკითხველისა და მსმენელისათვის, ხოლო არსებული ლექსიკონები ყოველთვის ვერ აკმაყოფილებენ მზარდ მოთხოვნებს. სწორედ ამიტომ არის საჭირო ლექსიკონის შედგენა, რომელშიც ახალი სიტყვების მნიშვნელობა იქნება მარტივად განმარტებული“, — აღნიშნავს როლანდ ქართველი „საერთაშორისო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში.

მიუხედავად იმისა, რომ როლანდ ქართველი რადიკალურად განსხვავებული პროფესიისაა (იგი ინჟინერ-ტექნიკოსი გახლავთ), ლექსიკოლოგიის დარგში უკვე 30 წელია მოღვაწეობს და არაერთი ლექსიკონის ავტორია. სწორედ მის გზას მიყვება მისი შვილიშვილიც. ნინო კლდიაშვილი თსუ-ში ეკონომისტის პროფესიას ეუფლება, თუმცა პარალელურად ლექსიკოლოგიის მიმართულებითაც აპირებს მუშაობას. ახლა უკვე ბაბუისგან დამოუკიდებლად, იგი ეკონომიკურ სიტყვათა განმარტებით ლექსიკონს ამზადებს.

„ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, გადავწყვიტე ეკონომიკურ სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი გავაკეთო. მეც სტუდენტი ვარ და ვიცი, რამდენად აუცილებელია ასეთი წიგნის გამოცემა. წინ საკმაოდ რთული სამუშაო მელოდება, თუმცა, ამავე დროს, ძალიან საინტერესო და სასარგებლოც“, — გვითხრა ნინო კლდიაშვილმა.

ლექსიკოლოგია ერთადერთი საქმიანობა არ არის, რაც ნინო კლდიაშვილს ოჯახმა ასწავლა და შეაყვარა. იგი რამდენიმე საჭადრაკო ამოცანის ავტორიცაა. ერთერთი ამოცანის მიხედვით, ჭადრაკის თამაშისას, მოგების შედეგად, დაფაზე ჭადრაკის ფიგურებით ჯვარი იხატება. საკუთარი ცოდნის გაზიარება მას თსუ-ის სტუდენტებისთვისაც სურს. ნინო კლდიაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართველობის წევრიცაა და გადაწყვეტილი აქვს — შიდა საუნივერსიტეტო საჭადრაკო ტურნირს გაუწიოს ორგანიზება.

პრემიერა

„განკითხვის დღე“ მაყურებლის კათარზისისთვის

შურთხია ბეროშვილი

„განკითხვის დღე“ იმ ადამიანებზეა, ვინც ამ ქვეყნად ცხოვრობენ და გააზრებული არ აქვთ — რა მისია აკისრიათ. მათი ერთადერთი საზრუნავი გართობა და კეთილდღეობაზე ზრუნვაა და ამასობაში ავიწყდებათ მთავარი — ზნეობა და პასუხისმგებლობა. ისინი შედეგებზე ნაკლებად ფიქრობენ და როგორც პიესის ერთი გმირი ამბობს: „ისე ცხოვრობენ, თითქოს არასოდეს მოკვდებიან და ისე კვდებიან, თითქოს არასოდეს უცხოვრიათ...“ მათი მთავარი პრობლემა კი მაინც ის არის, რომ უსიყვარულოდ ცხოვრობენ და არ ფიქრობენ ცოდვაზე, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს ყველას მოეკითხება.

თსუ-ის თეატრალურ დასს სახელწოდება „სხვენი“ იმ დროიდან შემორჩა, როდესაც მათ სარეპეტიციო ადგილიც კი არ ჰქონდათ და როდესაც პირველი კორპუსის ერთი პატარა ოთახი, რომელიც მართლაც ძალიან ჰგავდა სხვენს, საკუთარი ძალებით გაარემონტეს და იქ „დასახლდნენ“. დასში სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები თეატრის უზომო სიყვარულმა გააერთიანა და, მიუხედავად სირთულეებისა, თეატრალურმა დასმა, რეჟისორის გიორგი გომელაურის თაოსნობით, არაერთი სპექტაკლი დადგა, მათ შორის: ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, „მხიარული ნოველები“, ლაშა თაბუკაშვილის „ჭრილობა“ და სხვა.

22-23 მარტს თსუ-ის თეატრალური დასი „სხვენი“ განახლებული პირველი კორპუსის სააქტო დარბაზში მაყურებლის წინაშე ახალი სპექტაკლით — „განკითხვის დღე“ წარსდგა, რომელშიც თეატრალური დასის ყველა წევრი მონაწილეობდა. სპექტაკლისთვის სცენარი, გიორგი კაჭარავას ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით, რეჟისორმა გიორგი გომელაურმა სტუდენტების თხოვნით დაწერა.

„ძნელია, საერთოდ, რომანის მიხედვით სცენარის დაწერა, მაგრამ შევეცადე, საინტერესო პასაჟები წამომეწია და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მთავარი პრობლემა მოეტანა მაყურებლამდე. სცენარს მთელი ზაფხული ვწერდი და პარალელურად სტუდენტებთან ვმუშაობდი. ასე ნელ-ნელა და დიდი შრომის ფასად მოვედით პრემიერამდე“, — გვითხრა გიორგი გომელაურმა.

„განკითხვის დღე“ იმ ადამიანებზეა, ვინც ამ ქვეყნად ცხოვრობენ და გააზრებული არ აქვთ — რა მისია აკისრიათ. მათი ერთადერთი საზრუნავი გართობა და კეთილდღეობაზე ზრუნვაა და ამასობაში ავიწყდებათ მთავარი — ზნეობა და პასუხისმგებლობა. ისინი შედეგებზე ნაკლებად ფიქრობენ და როგორც პიესის ერთი გმირი ამბობს: „ისე ცხოვრობენ, თითქოს არასოდეს მოკვდებიან და ისე კვდებიან, თითქოს არასოდეს უცხოვრიათ...“ მათი მთავარი პრობლემა კი მაინც ის არის, რომ უსიყვარულოდ ცხოვრობენ და არ ფიქრობენ ცოდვაზე, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს ყველას მოეკითხება.

მსახიობები პრემიერის წინ ძალიან ღელავდნენ, თუმცა წარმატებაში დარწმუნებულები იყვნენ. „გვინდა მაყურებელს წაყვეს განწყობა და ფიქრი იმ პრობლემაზე, რომელიც სპექტაკლშია წამოჭრილი“, — გვითხრა თსუ-ის კურსდამთავრებულმა ბესო ბახტაძემ.

„დასში უკვე მეორე წელია ვთამაშობ. თეატრი ძალიან მიყვარს — ეს სპექტაკლი ჩვენი დასისთვის ახალი ეტაპია, ამიტომ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, როგორ მიიღებს მას მაყურებელი“, — ღელვის ფონზე გვითხრა „მოხეტიალე მსახიობმა“, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა გოგა ბოგვერაძემ.

რეჟისორის გიორგი გომურაშვილის თქმით, დასში უამრავმა ნიჭიერმა სტუდენტმა მოიყარა თავი, რომლებიც მღერიან, ცეკვავენ, ლექსებს წერენ და, რაც მთავარია, ძალიან უყვართ თეატრი. აღსანიშნავია, რომ ახალი სპექტაკლის გაფორმებაზეც თსუ-ის სტუდენტმა ზურაბ ბალანჩივაძემ იზრუნა. ამჟამად დასში 30 წევრია, რომლებიც უახლოეს მომავალში თეატრალური კონცერტის წარმოდგენას აპირებენ, სადაც თავიანთ ტალანტს წარმოაჩენენ.

პრემიერის წინ თსუ-ის თეატრალური დასის რეჟისორმა გიორგი გომურაშვილმა მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელს ირაკლი ხარჯავანიძეს და ყველა იმ სტუდენტს, რომელთაც თავიანთი თანატოლების წარმატება ახარებთ.

თსუ-ის მშვილდოსნები ჩემპიონობას არ სჯერდებიან

მიზანში მოხვედრა ადვილი არ არის, თვალიც უნდა გიჭრიდეს და გონებაც. მშვილდ-ისარი რომ არ ყოფილიყო, შეიძლება კაცობრიობას დღემდე ვერც მოეღწია, ამით უსწორდებოდა იგი მომხვდურს და შოულობდა საზრდოს, მაგრამ დღეს ეს იშვიათი იარაღი მხოლოდ სპორტმა „შემოინახა“ და სხვა ფუნქცია შეიძინა.

ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲑᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

დავით ჭელიძე

საქართველოში სასროლო სპორტის ამ უძველეს სახეობას დიდი ტრადიცია აქვს, რომელსაც ღირსეულად აგრძელებენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დიდი ხნის მანძილზე მოღვაწეობდა მსოფლიოში სახელგანთქმული მშვილდოსანი ქეთევან ლოსაბერიძე. რამდენიმე წლიანი პაუზის შემდეგ, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელშეწყობით, მშვილდოსნობის სექციამ აქტიურად დაიწყო მუშაობა. შედეგად, თსუ-ის სტუდენტების წარმატებამაც არ დააყოვნა.

25-26 თებერვალს საქართველოს ჩემპიონატზე სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა ისახელეს თავი და, პირველად ჩემპიონატის ისტორიაში, I და II ადგილები დაისაკუთრეს, რაც მათი მწვრთნელის დავით თევდორაძის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

ჩემპიონატის ოქროს მედლის მფლობელი თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი დავით ჭელიძე გახდა. აღსანიშნავია, რომ იგი საქართველოსა და სხვადასხვა საერთაშორისო ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებულია, თუმცა მომავალში უფრო დიდი გეგმები აქვს.

„ბავშვობიდან სპორტის მრავალ სახეობაზე დავდიოდი, მაგრამ საბოლოო არჩევანი ქალბატონ ქეთევან ლოსაბერიძესთან შეხვედრის შემდეგ გავაკეთე. მას ჩემი ფიზიკური მონაცემები მოეწონა და მირჩია, მშვილდოსნობაში მომესინჯა ძალები. მომავალში უფრო დიდი გეგმები მაქვს და ყველანაირად ვეცდები მწვრთნელისა და ახლობლების იმედები გავამართლო. მშვილდოსნობა არც ისე მარტივია, როგორც ეს შორიდან ჩანს. მხოლოდ ფიზიკური მომზადება არ კმარა, რომ წარმატებას მიაღწიო. დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც“, — ამბობს დავითი.

მომავალი ფიზიკოსი ცდილობს, რომ სპორტი და სწავლა მაქსიმალურად შეუთავსოს ერთმანეთს, რადგან ძალიან უყვარს თავისი სპეციალობა და არც იმას გამორიცხავს, რომ უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მეცნიერებას გაჰყვეს.

II ადგილის მფლობელი ამავე ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი პოპიაშვილია, რომელიც მშვილდოსნობის სექციაში ერთი წელიც არ არის, რაც გაერთიანდა, მაგრამ ყველასთვის მოულოდნელად საკმაოდ მაღალი შედეგი აჩვენა. მწვრთნელს იმედი აქვს, რომ მომდევნო შეჯიბრებებზე გიორგი მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწევს.

„საერთოდ, ყველანაირი იარაღი ძალიან მიყვარს, მშვილდ-ისარი მათ შორის უძველესია, ამიტომ ყოველთვის მაინტერესებდა, მინდოდა, თვითონ დამეჭირა ხელში და მესროლა. სავარჯიშო დარბაზში რომ მოვხვდი, გადაწყვეტილება მალევე მივიღე. ჩემთვის, როგორც დამწყები სპორტსმენისთვის, ეს მნიშვნელოვანი წარმატებაა. იმედია, უფრო მეტს მივაღწევ“, — ამბობს გიორგი.

დავით თევდორაძის თქმით, სტუდენტებს ყველანაირი ხელშეწყობა აქვთ, რომ უნივერსიტეტში სპორტის ეს სახეობა განვითარდეს და ახალგაზრდა სპორტსმენებმა წარმატებას მიაღწიონ.

„2011 წელს ჩინეთში გაიმართა გრანდიოზული სპორტული ღონისძიება „მსოფლიო უნივერსიადა“, რომელიც ოლიმპიადის შემდეგ რანგით მეორეა. დავით ჭელიძემ იქაც უმაღლესი შედეგი აჩვენა. ეს იყო გამოცდილების შეძენა. მან წარმატება მოიპოვა სომხეთში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიადაზე, სადაც II ადგილის მფლობელი გახდა. რომ არა კულტურისა და სპორტის დეპარტამენტისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა, ამდენს ვერ შევძლებდით“, — გვითხრა დავით თევდორაძემ.

სტუდენტები და მათი მწვრთნელი იმედებს მომავალზე ამყარებენ. ახლოვდება ლონდონის ოლიმპიადა, თუმცა, იქ მოსახვედრად საჭიროა ლიცენზია, რომელიც ამჟამად მშვილდოსან გოგონებს აქვთ მოპოვებული. ლონდონის ოლიმპიადის 3 ლიცენზია ამერიკაში 17-23 მაისს გათამაშდება. ვაჟ მშვილდოსნებს იმედი აქვთ, რომ, ლიცენზიის მოპოვების შემთხვევაში, ისინი ლონდონის ოლიმპიადაზეც ღირსეულ წარმატებას მიაღწევენ.

ფოტოობიექტივით დანახული სამყარო

ნესი კუპრეიშვილი

ნინო ფანცულაია

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ფოტოკლუბში თებერვლის თვის ფოტოკონკურსის — „მაკრო ფოტო“-ს გამარჯვებულები გამოვლინდა.

კონკურსში მონაწილეობდნენ სტუდენტური თვითმმართველობის ფოტოკლუბის წევრები. მათ საკონკურსო ფოტოების თემა კლუბის ხელმძღვანელობამ შეურჩია. გამოვლენილია 3 გამარჯვებული: ნესი კუპრეიშვილი, ქეთი აფციაური და ნინო ფანცულაია. ისინი მონაწილეობას მიიღებენ კონკურსის შემდეგ ეტაპზე და დასკვნით ტურში. ფოტოკლუბის წევრები, ძირითადად, პირველი და მეორე კურსის სტუდენტები არიან.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

ქეთი აფციაური

კონკურსის ყველა მონაწილემ საკონკურსოდ ერთი ფოტოსურათი წარადგინა. ფოტოები შეაფასა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში პროფესიონალი ფოტოგრაფები შედიოდნენ: ლაშა ჯიმშელეიშვილი (ნიკომარი), მიშა პიტიურიშვილი, ეკატერინე მამამთავრიშვილი და თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორი ნინო კაკულია. ამ ეტაპზე გამოვლინდა 3 გამარჯვებული.

„ფოტოკლუბის არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სფეროთი დაინტერესებული სტუდენტებისთვის. ისინი აქ დიდ გამოცდილებას იძენენ და სპეციალისტისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს გამოიმუშავებენ. როგორც ფოტოკლუბის ხელმძღვანელი, ვცდილობ, საკონკურსო თემა მათი აზრის გათვალისწინებით შევარჩიო. „მაკრო-ფოტო“ კონკურსანტის ტექნიკურ ცოდნასა და შემოქმედებით ხედვაზე იყო გათვლილი. კერძოდ, თუ როგორ ფლობს კონკურსანტი ფოტოაპარატის ობიექტივს, რა შეუძლია და რის დახვეწას საჭიროებს. ჩემთვის, როგორც ფოტოგრაფისთვის, საინტერესოა პროფესიონალებთან მუშაობა. კლუბში მეგობრული ატმოსფეროა. სტუდენტები ერთმანეთს რჩევებს აძლევენ და გამოცდილებას უზიარებენ, საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან. ეს ყველაფერი კი მათ მომავალში კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბებაში დაეხმარებათ“, — განაცხადა ფოტოკლუბის ხელმძღვანელმა, იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა დავით ჩქოტუამ, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა ფოტოკლუბის თითოეულ წევრს და სტუდენტურ თვითმართველობას მხარდაჭერისთვის.

ფოტოკლუბის ხელმძღვანელობა კონკურსების ფარგლებში შერჩეული საუკეთესო ფოტოების გამოფენას წლის ბოლოს მოაწყობს, ხოლო გამარჯვებული ფოტოების ავტორებს სპეციალური პრიზები გადაეცემათ. საგაზაფხულო სემესტრიდან კი თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ფოტოკლუბის წევრებს ფოტოგრაფიაში ჩაუტარდებათ მასტერკლასები, რომელსაც პროფესიონალი ფოტოგრაფი იური მეჩითოვი გაუძღვება. წლის ბოლოს სტუდენტები სტაჟირების გავლის დამადასტურებელ სერტიფიკატებსაც მიიღებენ.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ფოტოკლუბში მოყვარული ფოტოგრაფების მიღება ამ დროისთვისაც მიმდინარეობს. მასში გაწევრიანება ყველა იმ სტუდენტს შეუძლია, რომელიც ამ სპეციალობით არის დაინტერესებული და საკუთარი ფოტოაპარატი აქვს. მსურველებმა უნდა მიაკითხონ სტუდენტურ თვითმმართველობას თსუ-ის I კორპუსში, სადაც სტუდენტური ფოტოკლუბის კარი მათთვის ყოველთვის ღიაა!

მთავარი რედაქტორი	ნინო კაკულია
მთავარი სპეციალისტი	მაია ტორაძე
ტექნიკური რედაქტორი	მანანა ჯურხაძე
ფოტოკორესპონდენტი	ლიკა პეტრიაშვილი
კომპიუტ. უზრუნველყოფა	ზაზა გულაშვილი

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62